ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველო სიმინდის ექსპორტიორი გახდება

გვ.5



ხუთშაბათი, 3 თებერვალი, 2011 №28 (5413) ფასი: 30 თეთრი

# ჯონდი ბაღათურია: „მოხსენით სუბელიანი!“



გვ.3



## ელექტროენერგიის ვაუჩერების დარიგება 10 თებერვლიდან დაიწყება

გვ.2

## ოპოზიცია სერიოზული აქციებისთვის ემზადება



გვ.4

## შეეშველეთ მოსახლეობას, შიმშილით ნუ დახოცავთ!

გვ.5





## „სააკაშვილს დიპლომატიის არაფერი გაეგება“

გვ.3



## ფასების დაკლება ნაციონალების კრახს გამოიწვევს

გვ.4

როგორც მომთმენ ერს, ქართველებს მალე გინესის წიგნში შეგვიტანენ

## როგორ ინაწილებენ რუსთავის საკრებულოში ფულებს

გვ.7

## მთელ აჭარაში მოლას ხმა ისმის

გვ.10



გვ.2

## ვის დარჩება ავლაბრის რეზიდენცია — ჩინელებს, ბურებს თუ ქართველებს

## საქართველოში არჩევნები აუქციონად იქცა

გვ.6

როდის იპოვიან სამშობლოს „სამშობლოს მა იებლები“




## 3090

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.


ISSN 1987-9385

**2** სასამართლო საზოგადოებრივ აქტივობებშია ჩართული

**9** საქართველოს ნაკრები ერთა თასისთვის ემზადება

**3** საქართველო ფასების ზრდის ტემპით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ლიდერთა შორისაა

**9** სატრანსფერო ზამთრის ცხელი მოვლენები

# ვის დარჩება ავლაბრის რეზიდენცია — ჩინელებს, ბურებს თუ ქართველებს

ნათია ხურცილავა

**ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი ნოდარ ჯავახიშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებული ინფლაცია ხელისუფლების მიერ მართული პროცესია.**

## ინტერვიუ ნოდარ ჯავახიშვილთან

*— ბატონო ნოდარ, „ქამრების მოჭერის პოლიტიკის“ ფონზე ჩინოვნიკები ხელფასზე დანამატებს, პრემიებს იღებენ...*

— ეს საკითხები უკვე საზოგადოებაში გაკვირვებას და აღშფოთებას აღარ იწვევს, რადგან მიეჩვივნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება იმისთვის არის, რომ რაც შეიძლება მეტი უნდა წაღლიტოს და წაგლიჯოს ქართველ საზოგადოებას და რაც შეიძლება მეტი უნდა წაიღონ სახშლი. ადამიანს ცოტა უნდა შეგრცხვეს. პრეზიდენტ სააკაშვილის შენახვა ჩვენ იმდენი გვიჯდება, რამდენიც ბევრ ჩვენხელა ქვეყანას მთელი ხელისუფლების შენახვა არ უჯდება. მთელმა საზოგადოებამ ნახა, პრეზიდენტი როგორ ხარჯავს თავის სარეზერვო ფონდებს. თავისი ხუშტურებისთვის და საკუთარი სიამოვნებისთვის ხარჯავს ქვეყნის სარეზერვო ფონდებს. თუ თევზი თავიდან აყროლდა, ის აუცილებლად მივა ბოლომდე.

*— თუმცა, „ქამრების მოჭერის პოლიტიკაზე“ გააკეთა განცხადება პრეზიდენტმა...*

— როდესაც „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკაზე საუბრობს პრეზიდენტი, მაშინ საქართველოს მოსახლეობა ჰყავს მხედველობაში, თავისი თავი, ხელისუფლება და „ნაციონალური მოძრაობა“ კი არ ჰყავს მხედველობაში. თავად გვისუქდება და გვისუქდება. პრეზიდენტი რასაც კარგს ამბობს, იმას თავისთვის და თავის წრეზე ამბობს. რასაც ცუდს ამბობს, იმას — საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებზე. რა, მხოლოდ წელს არის ასე? შარშან, შარშანწინ ასე არ იყო? თუმცა, თავხედობის დონე იზრდება. ვერ დავადგინეთ, საიდან მოხდა დაფინანსება და რეალურად რა დაჯდა პრეზიდენტის სასახლის მშენებლობა, მაგრამ საზოგადოებაში მუსირებს და მეც ბევრჯერ ვთქვი უკვე და არავის უარუყვია, რომ რეზიდენციის მშენებლობა 800 მილიონი დაჯდა. 800 მილიონად საქართველოს სოფლის მეურნეობა აყვავებული იქნებოდა, დღეს არც პურის პრობლემა გვექნებოდა, არც შაქრის და არც ჭარხლის. ამ ყველაფერს 800 მილიონი თავიდან ბოლომდე ეყოფოდა. სადაც იყო იქ გდებულიყო. რა მაგაზე ნაკლები იყო თუ მეტი შევარდნაძე, რატომ არ



შეიძლებოდა, რომ ესეც იქ ყოფილიყო.

*— სააკაშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტის სასახლე თაობებს დარჩება...*

— რასაკვირველია, დარჩება თუ მანამდე სუყველა არ ამოვწყდით. ვის დარჩება ეს საკითხავია ჩინელებს? ბურებს? თუ ქართველებს? დაგვიტოვებს? მიდის სადმე?

*— არ წავა?*

— თავისით არსად არ წავა, მაგრამ არის სერიოზული საერთაშორისო ზეწოლა, მეორეს მხრივ საქმე იქამდე მიჰყავს, რომ ბოლოს და ბოლოს დღეს ძალიან თავჩაქინდრული ქართველი საზოგადოებაც ალბათ კბილებს გამოაჩენს.

*— ტუნისის და ეგვიპტის მაგალითებზე აკეთებს აქცენტს?*

— არ არის გამორიცხული. რადგან ეს პროცესი, რასაც ახლა აკეთებენ შეგნებულად ფასების კატასტროფული ზრდა, ბოლოს და ბოლოს მიიყვანს ხალხს ნამდვილ შიმშილამდე. ამ შემთხვევაში წუწუნის საფუძველი მოიხსნება. ადამიანი წუწუნებს მაშინ, როდესაც ცოტა, მაგრამ აქვს. როდესაც არაფერი არ ექნება, მერე წუწუნს თავს ანებებს და მერე ზოგი ფინალს წაავლებს ხელს, ზოგი თოფს იშოვის და ა.შ. რაც აბსოლუტურად არ არის მისასალმებელი და ჩვენ ნამდვილად არ ვილვწით ამისთვის, მაგრამ ეს ხდება სპონტანურად. მაგალითად, ეგვიპტეში, ხალხს ყელში ამოუვიდა და მეტის ატანა შეუძლებელი აღმოჩნდა. მუბარაქმა გააკეთა განცხადება, ცოტა მაცალეთ და მერე კენჭს აღარ ვიყრიო, მაგრამ ამ განცხადებამ საზოგადოების უფრო მეტი გაბოროტება გამოიწვია. არის რაღაც ზღვარი, როდესაც შეიძლება ცხვარიც გაცხარდეს.

*— თქვენ ბრძანეთ, რომ ფასების შეგნებული ზრდა ხდება, ეს როგორ?*

— ერთმნიშვნელოვნად. სხვადასხვა სარეიტინგო კომპანიები აცხადებენ, ჩვენც გვაქვს ინფორმაცია, რომ მსოფლიო ფასები თუ იზრდება, ჩვენ ყველაზე მაღალი ზრდა რატომ გვაქვს. სომხეთზეც, აზერბაიჯანზეც, ბალტიისპირეთზეც, რუსეთზეც, უკრაინაზეც, ერთადერთი, ყირგიზეთშია ჩვენზე მეტი ინფლაცია. აჟიოტაჟი დაიწყო შაქრის ფასის ზრდასათნ დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის ე.წ. მინისტრი ბაკურ კვეზერელი აცხადებს, არანაირი პრობლემა არ არის მარაგი საკმარისზე მეტია. თუ მარაგი მეტია, აჟიოტაჟი რამ გამოიწვია? აჟიოტაჟი თავად ხელისუფლებამ შექმნა. აჟიოტაჟი კი თავისთავად ქმნის დეფიციტს. როდესაც 4 კილო შაქარი ყოფნის ადამიანს, მაგრამ 10 კილოს იყიდის, მაშინ იქმნება დეფიციტი. არარსებული დეფიციტიდან შეიქმნა რეალური დეფიციტი. შაქარი რომ ძვირდება, მერე ადამიანი ფიქრს იწყებს სხვაზეც. ადამიანი აცხადებს, რომ ამისთანა ინფლაციასთან ბრძოლა ჩვენ არ ვიცითო. თუ არ იცი, წადი, ვინც იცის, ის მოვა. „ამისთანა“ და „იმისთანა“ ინფლაცია რას ნიშნავს. ამისთანა მტერთან ვიცით ხმლის მოქნევა და იმისთანასთან არ ვიცით? ინფლაცია ეკონომიკური კატეგორიაა. ნებისმიერი ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები არსებობს და წაიკითხოს, თუ არ იცის. მთავრობას არ აქვს ამისთანა ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობებიო. მთავრობა არ არის ინფლაციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო. ჩვენს კანონმდებლობაში კარგად წერია, ვინ არის ინფლაციაზე პასუხისმგებელი და ვის აქვს ყველაზე მეტი ინსტრუმენტები და ის არ არის მთავრობა, ის ეროვნული ბანკია, რომელიც არ შედის მთავრობის შემადგენლობაში. თუმცა, შეიძლება ესეც არ იცოდეს პრეზიდენტმა, რადგან მას ჰგონია, რომ რაც მას ექვემდებარება, ყველა ერთია. რატომ ვართ ყველაფერ ცუდში პირველი. ეს ნიშნავს, რომ ეს პროცესი მთლად ასე არ არის.

*— ამ პროცესს ვერ მართვს ხელისუფლება?*

— პირიქით. ფასების ზრდა — ეს არის სახელისუფლო გუნდის დამატებითი შემოსავალი, მაგრამ ვატყობ, რომ მეორეს მხრივ სააკაშვილს უნდა გამოიწვიოს, თუმცა, იმას ხვდება, რომ საზოგადოება დღეს არ არის მზად, საერთო საყოველთაო აჯანყებისთვის და რევოლუციისთვის. მას უნდა პატარა ლოკალური ბუნტები იყოს.

*— რაში სჭირდება?*

— ბუნტს ჩააქრობს ძალისმიერი მეთოდით. მერე კიდევ ერთხელ დასვამს ლეგიტიმურობის საკითხს და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს დაგვინიშნავს. ისევ მოიგებს.

*— პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება რომ არ აქვს?*

— პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს ახალი კონსტიტუცია შედის ძალაში, პრემიერ-მინისტრი ხდება ძლევამოსილი ფიგურა, პრეზიდენტი იქნება ვინმე, ბოკერია, ბაქრაძე ან ვინმე სხვა. მერე უკვე მართლაც სისხლით იქნება პრემიერ-მინისტრობიდან გადასაგდები.

# მოსამართლეებმა სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლეს



2 თებერვალს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ნომერ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. სასამართლოს შენობის დათვალიერების შემდეგ დამამთავრებელი კლასის 50-მდე მოსწავლე მოსამართლეებს შეხვდა. ბავშვების კითხვებს უშუალოდ სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები პასუხობდნენ, რომლებიც ცდილობდნენ მოზარდებისთვის გასაგებ ენაზე გაეცათ პასუხები სასამართლოს როლისა და ფუნქციის, დანაშაულის სპეციფიკის და სასჯელის სახეების შესახებ.

შეხვედრის დასრულების შემდგომ ბავშვებმა მოსამართლეებთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. ბავშვებს ასევე საჩუქრად გადაეცათ წიგნი “ბავშვი და სამართალი“.

მცხეთის სასამართლოში მსგავსი შეხვედრები ყოველკვირეულად მოეწყობა. სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით, კვირაში ერთხელ, ქალაქ მცხეთისა და მიმდინარე რაიონების სკოლის მოსწავლეები სასამართლოს ეწვევიან, მათ მასპინძლობას მოსამართლეები გაუწევენ.

ანალოგიური შეხვედრები იგეგმება გორის რაიონულ სასამართლოშიც.

სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრების ტრადიცია უკვე არსებობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თბილისის, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. მიმდინარე წელს პროექტში საქართველოს ყველა დიდი რაიონული სასამართლო ჩაერთვება.



## თბილისის საკრებულოში ვახტანგ მჭედლიძეს გურამ კინწურაშვილი შეცვლის

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის ყოფილ წევრს ვახტანგ მჭედლიძეს მისი ადგილმონაცვლე გურამ კინწურაშვილი შეცვლის, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საკრებულოს პრესსამსახურიდან აცნობეს.

გურამ კინწურაშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხს საკრებულო მომავალ სხდომაზე განიხილავს.

როგორც საკრებულოში აცხადებენ, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ვახტანგ მჭედლიძემ საკრებულო საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. მას წევრობა 28 იანვრის სხდომაზე შეუჩერდა.

მჭედლიძე საკრებულოს „ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის“ წევრი და „სარევიზიო კომისიის“ თავმჯდომარის მოადგილე იყო. ის საქართველოს რაგბის ნაკრების წევრია და საკრებულოს წევრობაზე უარის თქმა, სავარაუდოდ, მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ჟენევაში საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე მოხსენების განხილვა გაიმართა

ჟენევაში, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული განხილვის მე-10 სესიის ფარგლებში საქართველოში ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული მოხსენების განხილვა გაიმართა.

საქართველოს მთავრობის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სერგი კაპანაძე ხელმძღვანელობდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო თანამეგობრობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მიერ განხორციელებული პროგრესის შესახებ ინფორმაცია ინტერაქტიული დიალოგის ფორმატში გააცნო და უპასუხა სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეკითხვებს. ინტერაქტიულ დიალოგში მონაწილეობის მიღება, სამი საათის განმავლობაში 54-მა სახელმწიფომ შეძლო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, განხილვისას დადებითად შეაფასეს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული პროგრესი. საქართველოს ხელისუფლებამ 160-ზე მეტი რეკომენდაცია მიიღო, რომელთაგან 100-მდე რეკომენდაციას საქართველოს დელეგაცია ადგილზე დაეთანხმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიღებული რეკომენდაციების დამუშავება მომდევნო თვეებში გაგრძელდება, რომლის შედეგად რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საქართველოს საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბება მოხდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ელექტროენერგიის ვაუჩერების დარიგება 10 თებერვლიდან დაიწყება

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, მოსახლეობას ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერები 10 თებერვლიდან დაურიგდება. მან ეს განცხადება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მთავრობის ეკონომიკურ გუნდს შორის გამართული შეხვედრისას გააკეთა. მისი ინფორმაციით, ვაუჩერების დარიგება 15 მარტამდე დასრულდება. ამ დროისათვის, პრაქტიკულად, ყველა აბონენტის რეკვიზიტი შედგენილია.

მინისტრის თქმით, მომხმარებლებს ვაუჩერების შესაბამის კომპანიაში მიტანა არ დასჭირდებათ, რადგან ბარათებზე თანხა ავტომატურად აისახება. თუ ვინმე ვაუჩერის სხვისთვის ჩუქებას მოინდომებს, იგი კომპანიაში უნდა გამოცხადდეს და თანხა დაარეგისტრიროს.

როგორც ცნობილია, 20-ლარიანი ვაუჩერები მთავრობის ანტიინფლაციური პროგრამის ფარგლებში დარიგდება.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ვაუჩერები მოსახლეობას ფინანსურ პრობლემებს შეუმსუბუქებს და, ამავდროეულად, მთავრობის მიერ ხალხისათვის ერთგვარი სოლიდარობის გამოხატვა იქნება.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## საქართველო ფასების ზრდის ტემპით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ლიდერთა შორისაა

საქართველო ფასების ზრდის ტემპით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის მეორე ადგილს იკავებს, — იუწყება ბელორუსის საინფორმაციო სააგენტო „ბელაპანი“. წყაროს ცნობით, ასეთი მონაცემები სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა. მათი მიხედვით, პირველ ადგილზეა ყირგიზეთი, სადაც 2010 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასები 19,2 პროცენტით გაიზარდა. მეორე ადგილზე გასულ საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 11,2 პროცენტია. მესამე ადგილზეა ბელორუსი — 9,9; მეოთხეზე — ტაჯიკეთი 9,8; ხოლო მეხუთეზე — სომხეთი 9,4 პროცენტით. მომდევნო პოზიციებს უკრაინა (9,1 პროცენტი); რუსეთი (8,8 პროცენტი) და მოლდოვა (8,1 პროცენტი) იკავებენ. რაც შეეხება დოლარის კურსის ზრდის ტემპს, სააგენტოს ცნობით, აქ პირველ ადგილს საქართველო იკავებს, სადაც ერთი თვის —-იანვრის განმავლობაში დოლარის კურსი 2,04 პროცენტით გაიზარდა. მას უზბეკეთი (0,66 პროცენტი) და ბელორუსი (0,37 პროცენტი) მოსდევენ. **მედიანიუსი**

## სტრასბურგის სასამართლომ რუსული მხარის მოწმეები დაკითხა

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი საქართველოს სარჩელზე რუსული მხარის მოწმეები დაკითხა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის განიხილვა ორი დღის წინ დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში ქართული მხარის ათამდე მოწმე დაკითხა, მათ შორის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი კონსული ზურაბ პატარიძე.

საქმე ეხება 2006 წელს რუსეთის ფედერაციიდან ეთნიკური ქართველების მასობრივ დეპორტაციას.

საქართველოს სარჩელს ევროსასამართლოს დიდი პალატა იხილავს. რუსეთის ფედერაციიდან ეთნიკური ქართველების მასობრივ დეპორტაციასთან დაკავშირებით საქართველომ ოფიციალური მოსკოვის წინააღმდეგ სარჩელი 2007 წელს შეიტანა. ათასობით ქართველი რუსეთიდან 2006 წელს გამოაძევეს. რუსეთის ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება საქართველოში რუსი ჯაშუშების დაკავების შემდეგ მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

# „სააკაშვილს დიპლომატიის არაფერი გაეგება“

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს გუშინ ქართველმა დეპუტატებმა უპასუხეს. საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების ხაზს აგრძელებს. ამ ბრალდებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრე ლუკაშევიჩი გამოვიდა.**

**საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებას არ ეთანხმებიან არც საპარლამენტო უმრავლესობის და არც ოპოზიციის წევრები.**

**ლუკაშევიჩის განცხადებაში, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და მასში 25 იანვარს, პირდაპირ ტელეეთერში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზეა საუბარი.**



**ნანა მიშელაშვილი**

— მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ მოუწოდა ყველა ქართველს, მომავალ წელს სოხუმში შეხვდნენ და განაცხადა, რომ საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება. რუსეთის ხელისუფლების მიმართ მან კიდევ ერთხელ გააკეთა შეურაცხმყოფელი განცხადებები. დადასტურდა, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების ხაზს ჯიუტად აგრძელებს. ასევე მართლზომიერია აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარეების შიში საქართველოს მხრიდან პირდაპირი საფრთხის გამო, — ნათქვამია ლუკაშევიჩის განცხადებაში.

ლუკაშევიჩის თქმით, ამ გამონათქვამების შემდეგ, ჟენევის მოლაპარაკებებზე ნდობის დამყარება და დევნილების დაბრუნების საკითხების განხილვა რთული იქნება.

სერგეი ლავროვის უწყების წარმომადგენელი ასევე აღნიშნავს, რომ იანვრის ბოლოს გაეროს უშიშროების საბჭოში სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმების ლიდერების განცხადებები გავრცელდა, რომლებითაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულებას იღებენ. მას მიაჩნია, რომ ეს კავკასიაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების გამყარებისკენ მძლავრი და ეფექტური ნაბიჯია.

პირდაპირ ტელეეთერში მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთში დაბრუნებაზე საუბრისას ანალოგი გაავლო ცნობილ გამონათქვამთან, რომელიც ებრაელ ხალხს აერთიანება, მომავალ წელს აღთქმულ მიწაზე, იერუსალიმში. ეს განცხადება სეპარატისტებმა და რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ მუქარად აღიქვა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთი საქართველოს თავს დაესხა და ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს.

გაბაშვილის განცხადებით, სანამ არ იქნება დეოკუპაციის პროცესი, ყველა ქვეყნის პრეზიდენტის ვალდებულება იქნება, რომ თქვას მისი ოცნება და მიზანია, რომ ახალ წელს სოხუმსა და ცხინვალში შეხვდეს.

— ქართული მხარე, 12 აგვისტოს შეთანხმების ყველა პუნქტს იცავს და ევროკავშირის დამკვირვებლებს მუდმივ მონიტორინგს სთავაზობს. რუსეთი მინიმუმ იმას მაინც უნდა აკეთებდეს, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებულ რაიონებში დამკვირვებლები დაუშვას, — აღნიშნა გაბაშვილმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაზე კომენტარი ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმა გააკეთა. მისი თქმით, ჩრდილოელი მეზობლები სიტუაციას ამუქებენ და თემის ულტრირებას აკეთებენ.

— მეორე მხრივ, ჩვენ გვყავს ხელისუფალი, ქვეყნის პირველი პირი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს თუ რა არის დიპლომატიური ენა. საერთოდ არ აკონტროლებს იმ ფრაზეოლოგიას, რომელიც შემდეგ შეიძლება ულტრირებული იყოს ჩვენი არაკეთილმოსურნეების მიერ. არ შეიძლება პრეზიდენტი საუბრობდეს ისეთი ტერმინებით, რომელიც თავის თავში შეიცავს პერსპექტივას, რომ შენმა მტერმა გადათარგმნოს როგორც მას უნდა, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი ამბობს, რომ როგორც კი მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი ტელეეთერით გაკეთებული განცხადება მოისმინა, მაშინვე გაუჩნდა განცდა, რომ ამას რუსები სათავისოდ გამოიყენებდნენ. ახვლედიანი მიიჩნევს, რომ ამის საშუალებას ქვეყნის პირველი პირი მტერს არ უნდა აძლევდეს.

— პრეზიდენტის თითოეული ფრაზა და წინადადება დიდ პრიზმაში ტარდება, ყველანაირი კუთხიდან უყურებენ და შიფრავენ. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილი ამდენი ხანია ხელისუფლებაშია და ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგა წინ, რასაც ჰქვია დიპლომატიური ენის შესწავლა, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერის თქმით, „მომავალ წელს იერუსალიმში“, ამ ანალოგის გავლებამ და შედარებამ — მომავალ წელს აფხაზეთსა და ცხინვალში, რუსებმა არასწორად აღიქვეს. ახვლედიანის თქმით, რუსებს, ეტყობა, ის განწყობა გაახსენდათ, როდესაც საქართველოს თავდაცვის ერთ-ერთი მინისტრი გვპირდებოდა, რომ მომავალ წელს ცხინვალში შეხვდებოდა.

— ასეთ განცხადებას რომელიმე პოლიტიკური ლიდერი რომ აკეთებდეს, შეიძლება ასეთი გამოხმაურება არ ჰქონოდა, მაგრამ პრეზიდენტმა თითოეული ფრაზა პრიზმაში უნდა გაატაროს და გაანალიზებული ჰქონდეს. გასაგებია, რომ მომავალ წელს სოხუმში შევარდნის წინაპირობა ეს არ არის. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველო არ შეჭრილა რუსეთის ტერიტორიაზე და იქ არ დაუწყია ომი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ პრეზიდენტს არაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ ეს ომი არ მომხდარიყო, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა გაიხსენა, რომ 2008 წლამდე ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ვინ უფრო მეტად გალანძღავდა რუსეთს და მის პირველ პირებს, თითქოს ამით ქულებს იწერდნენ.

— თანაც ამბობდნენ, რომ შავ ზღვაში რუსეთს ორი ჟანგიანი წყალქვეშა ნავი ჰყავს და მათი სამხედრო პოტენციალი დაბალია. ჩვენი ძლევამოსილი არმია ყველაფრისთვის მზად არის. ასეთი რიტორიკა იყო. 2008 წლამდე საქართველოს მოსახლეობის ნაწილს სჯეროდა, რომ საქართველო რუსეთს ომს მოუგებდა. ამ განწყობამ უარყოფითი როლი ითამაშა იმ მოვლენებში, რაც 2008 წელს მოხდა. ჩვენი ხელისუფლება თავისივე შექმნილ ჩიხში აღმოჩნდა, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

ფრაქციის ლიდერის თქმით, ბოლო პერიოდში „სააკაშვილის გათამამების მაღალი ხარისხი იგრძნობა“. ახვლედიანის განცხადებით, 2008 წლიდან 2010 წლის შუა პერიოდამდე, სააკაშვილი დიპლომატიურ ენას ინარჩუნებდა რუსებთან დაკავშირებით, ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივაზე საუბრობდა, სხვადასხვა ინიციატივებს სთავაზობდა აფხაზებსა და ოსებს.

— ბოლო რამდენიმე თვეა, ამ ადამიანს ვუყურებთ ისევ იმ ჭრილში, რასაც ვუყურებდით 2008 წლმადე. ისევ დაუფიქრებელი ფრაზეოლოგიაა მტრის მიმართ, რაც ჩვენს ქვეყანას ნამდვილად არ წაადგება. ეს ერთხელ უკვე გამოვიარეთ და არ ვიცი, რატომ შევდივართ ერთსა და იმავე მდინარეში, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

რაც შეეხება სეპარატისტული ხელისუფლების ბრალდებებს, სოხუმის რეჟიმი ქართულ მხარეს გალის რაიონში დივერსიული ჯგუფების შეგზავნაში ადანაშაულებს. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება. მათი ინფორმაციით, გალის რაიონში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა, დე ფაქტო პარლამენტის წევრმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა, რომ შვიდწევრიანი ჯგუფი გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან გადავიდა. მისი ინფორმაციით, ჯგუფის დევნისას სროლა დაიწყო, რის შემდეგაც შეიარაღებული პირები ისევ „საქართველოს ტერიტორიაზე“ მიიმალნენ.

რუსლან ქიშმარიას თქმით, ეს ინციდენტი, რომელიც 26 იანვარს მოხდა, ქართული დივერსიული ჯგუფების მოქმედების უკვე მეორე შემთხვევაა.

ქიშმარიას ამ განცხადებას ქართველი დეპუტატები მორიგ დეზინფორმაციად და სეპარატისტების ბოდვად აფასებენ.

# ჯონდი ბაღათურია: „მოხსენით სუბელიანი!“

**ნანა მიშელაშვილი**

ჯონდი ბაღათურია კობა სუბელიანის თანამდებობიდან წასვლას მოითხოვს. გუშინ ბაღათურიამ პარლამენტში საკუთარ თანაპარტიელ გიორგი ბაშარულთან ერთად ბრიფინგი გამართა და ლტოლვილთა მინისტრი ანტიკრიზისულ საბჭოს სხდომაზე დაიბარა.

„ქართული დასის“ ლიდერის თქმით, დევნილთა სამინისტროსთან თანამშრომლობა საკმაოდ რთული იყო, თუმცა, ამას ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატში ახერხებდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში სამინისტრო საერთოდ გავიდა კონტაქტიდან და უარს აცხადებდა თანამშრომლობაზე.

— ჩვენ დამოუკიდებლად ვაწარმოეთ მონიტორინგი და აღმოჩნდა, რომ 1500 ადამიანს არა აქვს სტატუსი მინიჭებული და არ აუღია 10 ათასი დოლარის ოდენობით დახმარება, რაც 15 მილიონს შეადგენს. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ არამიზნობრივად არის დახარჯული ან მიტაცებული თანხა, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერი კონტროლის პალატის მასალებზეც საუბრობს და ამბობს, რომ უხეში ფინანსური დარღვევები იკვეთება, რომელიც სამართალდამცავებს უნდა გადაეცეს.



ბრიფინგზე „ქართული დასის“ წევრმა გიორგი ბაშარულმა განაცხადა, რომ დევნილთა დახმარებების ფონდიდან სუბიექტური შერჩევით წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების გარეშე დაკმაყოფილებულია 42.8%.

— დევნილების საწვავი შეშით უზრუნველსაყოფად 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაწეულია 520 300 ლარი. ხარჯვის დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება დევნილებისთვის გადაცემული საწვავი შეშის რაოდენობა და ღირებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია დადგინდეს თუ რა რაოდენობის და ღირებულების შეშა იქნა თითოეულ დევნილ ოჯახზე გაცემული, — აღნიშნა გიორგი ბაშარულმა.

„ქართული დასის“ წევრის განცხადებით, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 27 ავტომობილი, აქედან ცენტრალურ აპარატს ერიცხება 21 ავტომობილი და ტრანსპორტის ხარჯმა შეადგინა 541 500 ლარი, უშუალოდ სამინისტროს აპარატის ტრანსპორტის შენახვას მოხმარდა 369 300 ლარი.

— დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული და სხვა სამუშაოების შესყიდვაზე დახარჯულია 1 197 300 ლარი. ჩატარებულ სამუშაოებზე არ არსებობს ხარისხის კონტროლი და მიღება-ჩაბარების აქტები, რის შედეგადაც დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, — აღნიშნა გიორგი ბაშარულმა.

მას შემდეგ, რაც ბრიფინგზე ეს მონაცემები დასახელდა, „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ კატეგორიული განცხადება გააკეთა.

აპირებს თუ არა ბაღათურია მინისტრ სუბელიანის თანამდებობიდან გადადგომის საკითხის დაყენებას?

— ჩვენმა ექსპერტებმა აღმოაჩინეს 15 მილიონი დოლარის ოდენობის ფინანსური კანონდარღვევა, მეორე მხრივ, კონტროლის პალატამ მოგვაწოდა მასალები დაახლოებით 7 მილიონი ლარის ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი ვივარაუდოთ, რომ ეს თანხები სამინისტროს უკეთეს შემთხვევაში არამიზნობრივად აქვს გაფლანგული, თუმცა, არის ეჭვი, რომ თანხები მიტაცებულია. ჩვენ დაუყოვნებლივ დავიბარებთ მინისტრს და მისგან მოვითხოვთ განმარტებებს. თუ მინისტრის განმარტებები დამაჯერებელი არ იქნა, მაშინ ჩვენი კომპეტენციის ფარგლები ამით ამოვწურეთ, ამ მასალებს პროკურატურაში გადავაგზავნით. სასწავლებლად კი ვერ წავა მაშინ მინისტრი და სამინისტროს თანამშრომელი, არამედ კანონის წინაშე უნდა აგოს ყველამ პასუხი, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

გუშინ არაოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა, რომ კობა სუბელიანი თანამდებობას დატოვებს და ის სასწავლებლად აპირებს წასვლას. ამ ინფორმაციას ოფიციალური პირებიდან ჯერჯერობით არავინ ადასტურებს.

— ერთი დევნილისთვის სამუშაო ადგილს ვერ ვქმნით და ბენზინში ნახევარი მილიონია დახარჯული. — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან“ ერთად!
ყოველი ორშაბათიდან
„გუმბათთან“ ერთად შეიძინეთ
„ახალი ქართული პროზის“
ახალი ტომი
ჟურნალი წიგნთან ერთად ღირს 3 ლარი

# ოპოზიცია სერიოზული აქციებისთვის ემზადება

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს? სოციალური ფონი ძალიან მძიმეა, ყოველდღიურად იზრდება ფასები როგორც საკვებზე, ისე საწვავზე. სააკაშვილი ამ ყველაფერზე საკმაოდ მშვიდად საუბრობს, თითქოსდა არაფერი ხდება...***

— პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ სააკაშვილს ამერიკაში ვიზიტის დროს ცალსახად უთხრეს, რომ ის პრემიერ-მინისტრი არ უნდა იყოს. თუმცა, ის ამ ამბავს არ ახმაურებს, ვინაიდან ამ ამბის გახმაურების შემდეგ მის გუნდში დაიწყება ქაოსი, დაპირისპირებები, ძალთა გადანაწილებები, რამაც შეიძლება მისი გუნდის კრახი გამოიწვიოს. მე არ ვიცი, რა მოხდება, სააკაშვილი ამას დათანხმდება, არ დათანხმდება, მაგრამ ფაქტიურად ამერიკელებმა უთხრეს მას, რომ იგი უნდა წავიდეს. გარდა ამისა, შიდა ძალებიც, მისი გუნდის წევრებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გარკვეული მუხტი აიწიოს და ეს პროტესტი მიმართული იყოს უშუალოდ სააკაშვილის წინააღმდეგ, ამიტომაც არის ფასების გაუგონარი ზრდა და სხვა ისეთი ქმედებები, რომელმაც წესით უნდა გამოიწვიოს საზოგადოებაში დიდი მუხტი, მაგრამ როგორც ვხედავთ, ჯერ ეს პერიოდები მოქმედებს ქართველ ერზე, ზამთრის პერიოდია, თუმცა, ამისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. საქართველო ამჟამად იმყოფება დიდი საპროტესტო გამოსვლების მზადების პერიოდში. ეს თითქმის ყველა პარტიაში, რომელსაც პარტია ქვია, ყველა ემზადება და ყველა ძალებში მიმდინარეობს ინტენსიურად. თუმცა, ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც პარტიების დიდი ნაწილი ერთმანეთის ლანძღვა-გინებით არის დაკავებული. მე ვიტყოდი, რომ ესეც ალბათ გარკვეულწილად თვითგაწმენდის პერიოდია. ის, რაც მოხდა სუდანში და შემდეგ გადმოედო სხვა ქვეყნებს, ის, რაც მიმდინარეობს ეგვიპტეში, მე არათუ გამოვრიცხავ, ვხედავ, რომ მოსალოდნელია იგივე საქართველოშიც მოხდეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, რომ ეს პროცესები არ განმეორდეს საქართველოში და სააკაშვილის ჩანაცვლება მოხდეს უფრო მშვიდობიანად და ამისთვის ემზადება კიდეც ხელისუფლება. მას აწყობს კიდევაც, თუ იქნება მოუმზადებელი გამოსვლები, ეს დამთავრდება წარუმატებლად, ამ შემთხვევაში სააკაშვილის ჩანაცვლება, ან თუ სააკაშვილი გადაწყვეტს, რომ დარჩეს, ეს მოხდება უმტკივნეულოდ.



***— ჩანაცვლება თუ მოხდა, ალბათ, მისივე გუნდი ჩაანაცვლებს და ეს რეალურად შეცვლის რამეს?***

— საკითხი როგორ დგას, საუბარია მართლაც იმ გუნდზე, რომელსაც მართლაც „პოდნოსით" მიართვა შევარდნაძემ ხელისუფლება. იცით, თქვენ, რომ მათ აზრადაც კი არ ჰქონდათ სააკაშვილის გაპრეზიდენტება. სააკაშვილის მიზანი იყო, რომ 2003 წელს დაეწერა გაცილებით მეტი ქულა, ვიდრე საარჩევნო კომისიამ აჩვენა. შემდეგ მოხდა ისე, რომ იგი აღმოჩნდა პრეზიდენტის სკამზე, მთელი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, მოახდინა ამ ძალაუფლების უზურპირება, ჩამოაყალიბა ტოტალური სისტემა და შესაბამისად მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ძალაუფლება გადაეცეს იმ ადამიანებს, რომლებიც არ მოახდენენ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებებისთვის მათ გასამართლებას. ეს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამაში გარკვეული ძალებიც უწყობენ ხელს, მაგრამ მოდით, შევხედოთ, რა უნდა ხალხს და რა უნდა საზოგადოებას, ეს მთავრობა რომ ხალხის მთავრობა არ არის და სახალხო მთავრობა არ არის, ეს ფაქტია. სააკაშვილის შემცვლელები, რომლებიც ჩაანაცვლებენ სააკაშვილს და იქნებიან მისი გუნდის წევრები ისინიც, რომ ქვეყნისთვის დიდ სასიკეთოს არაფერს გააკეთებენ, ესეც ფაქტია. აქედან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ იქნება ის ხელისუფლება, რომელიც საქართველოს და საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს დაიცავს და მოემსახურება. ეს არის ვერაგული გეგმა, რომელიც მათ სურთ განახორციელონ. ახლა ჯერი ოპოზიციაზე და ხალხზეა, მათ უნდა გააკეთონ ყველაფერი, რომ ისინი გაუშვან პოლიტიკურ მოუსავლეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს ამ რეჟიმის ჩექმის ქვეშ ცხოვრება.

***— სააკაშვილი კმაყოფილებას ვერ მალავს, რომ დღეს ოპოზიცია სუსტია საქართველოში...***

— კი ამბობს ამას სააკაშვილი, მაგრამ მოდით, ასე ვთქვათ, ოპოზიცია მართლაც დაამარცხა სააკაშვილმა. ბევრი ოპოზიციონერი ამისთვისაც იყო წინასწარ მომართული და განწყობილი, რბილად რომ ვთქვათ, მაგრამ ოპოზიციის დიდი ნაწილი არ გატეხილა და კვლავ აგრძელებს ბრძოლას. მართალია ეს ბრძოლა ძნელად მიმდინარეობს ამ რეჟიმის პირობებში, საკმაოდ ბევრი სიძნელეებია, საზოგადოება ფაქტიურად არის უზარმაზარი წნეხის ქვეშ და შიშის ქვეშ, მაგრამ ოპოზიცია მუშაობს და მუშაობს სერიოზული საპროტესტო ტალღის დასაწყებად, რამაც უნდა გადაიყოლოს სააკაშვილი. თუ, რა თქმა უნდა, ეს იქნება კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული და კარგად გათვლილი თავის სამოქმედო გეგმით.

***— ბატონო შალვა, როგორც ქართველი ისე უცხოელი ექსპერტები საქართველოში სამოქალაქო ბუნტს გარდაუვლად მიიჩნევენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს მართლაც გაზაფხულიდან დაიწყება თუ გაცილებით მეტი დრო დასჭირდება?***

— მე იმას მივესალმებოდი, ხვალვე რომ დაიწყოს, მაგრამ საქმე რაში მდგომარეობს, აქ რაიმე თარიღის დასახელება და პერიოდის დასახელება არ იქნება სწორი და რატომ? კიდევ ერთხელ ვამბობ, იმ ანალიზის შედეგად, როდესაც გაირკვა, რომ მართალია ოპოზიცია იბრძოდა, მაგრამ ეს ბრძოლა სააკაშვილის წარმატებით დამთავრდა, რამაც გამოიწვია საზოგადოებაში საკმაოდ სერიოზული ნიჰილიზმი. შესაბამისად, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ხიდი მოსახლეობასა და ოპოზიციას შორის ჩატეხილია, ისევე როგორც ჩატეხილია ხიდი, კარგა ხანია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ხელისუფლება ამ ხიდს ვერასოდეს ვეღარ აღადგენს, ეს ხელისუფლება მყავს მხედველობაში და თუნდაც მათი ჩამნაცვლებლები, მაგრამ ოპოზიციამ ყველანაირი ძალა უნდა იხმაროს, ჩვენი პირველი რიგის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აღდგეს რიგი ოპოზიციასა და ხალხს შორის. თუ ეს ხიდი აღდგება დროულად, შემდეგ საპროტესტო ტალღის აწევა და ტემპერატურის აწევა, დამერწმუნეთ, რთული არ იქნება, იმდენად უწყობს ხელისუფლება ამ ყველაფერს ხელს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ხიდია ჩატეხილი. აუცილებლად უნდა აღდგეს ეს ხიდი, თითოეულ ადამიანთან საუბრებით უნდა იწყებდეს ხელისუფლება ამ ყველაფრის გაკეთებას და მე მეეჭვება ეს უახლოეს პერიოდში მოესწროს. ადრე იყო, რომ ხალხი უჯერებდა ოპოზიციას, იტყოდნენ გამოდით ამა და ამ რიცხვში და გამოდიოდა მრავალი ათასი ადამიანი. დღეს სანამ ამ პროცესებამდე მიხვალ, ძალიან დიდი სამუშაო ჩასატარებელი, მაგრამ ვინც ამ სამუშაოს ჩაატარებს, ან თუ აღადგენს ხიდს, მოსახლეობასა და ოპოზიციას შორის და დაიჯერებს ხალხი, რომ ოპოზიცია ამჯერად მაინც მიიყვანს ამ ბრძოლას, ხალხთან ერთად გამარჯვებამდე, მაშინ სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხება ძალიან მარტივი ხდება. ხედავთ, თქვენ რა პროცესები მიმდინარეობს, ყველგან, სადაც შეიცვალა ხელისუფლება, არც ერთხელ მხარი არ დაუჭირეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და არც ერთმა სხვა სახელმწიფომ ყოფილ დიქტატორებს, პირიქით, აკეთებენ განცხადებებს, რომ ეს დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო და მოუწოდებენ ხელისუფლებას, ჯარს, რომ შეწყვიტონ სადამსჯელო ოპერაციები და ასე შემდეგ. სააკაშვილმა იცის, რომ თუ ეს ტალღა აგორდა საქართველოში, მის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ანალოგიური შეფასება მიეცემა. ამიტომ ბრძოლა შედის გადამწყვეტ ფაზაში. ახლა თუ ოპოზიცია ვივარგებთ და შევძლებთ ამ ჩატეხილი ხიდის აღდგენას, რჩება ერთი ნაბიჯი — საპროტესტო ტალღის აგორება, მობილიზება და სააკაშვილის და მისი გუნდის პოლიტიკიდან ჩამოშორება უკვე ტექნიკის საქმეა.

***— ფიქრობთ, რომ მთავარია საზოგადოების ნდობა მოიპოვოთ?***

— რა თქმა უნდა, საზოგადოების ნდობა უნდა მოიპოვოს ოპოზიციამ. რაც დღეისათვის ნაკლებად არის.

***— თქვენი აზრით, რა დრო დასჭირდება ამ ნდობის დაბრუნებას?***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, მიდის სხვადასხვა ჯგუფების მუშაობა, აქტიურობენ პოლიტიკური პარტიები, აქტიურობს სახალხო კრება, ეროვნული საბჭო, აქტიურობს ქართული პარტია, ვაქტიურობთ ჩვენ, აქტიურობენ სხვებიც. ვნახოთ, ღმერთმა ქნას, ამ ყველაფერმა თავი ერთად მოიყაროს და აღდგეს ეს ნდობა. მე ვფიქრობ, რომ გაზაფხულისთვის სადღაც მარტისთვის ეს სამუშაო დამთავრებული უნდა იყოს.

***— ვარაუდი ასეთია, რომ მარტის ბოლო იქნება პიკი...***

— გეთანხმებით, ძალიან მძიმე ზამთარი უდგას ხალხს, ამ ზამთრის გადატანა საკმაოდ რთული იქნება საქართველოს მოსახლეობისათვის. თუნდაც საწვავის თემა რომ ავიღოთ, სააკაშვილი გვეუბნება, რომ ბენზინი გაძვირდა იმიტომ, რომ ჩინელებმა დაიწყეს ავტომანქანებით სიარული და რაღაც ათასი სისულელეები. ასევე ჭამა დაუწყიათ მათ. თუ ასეთი მდგომარეობაა, მაშინ ქვეყნის ხელისუფალი რომ ხარ, გაატარე ის პოლიტიკა, რაც უნდა გაატარო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვაგან არსად არ არის ასეთი მდგომარეობა, საწვავი არსად ისეთი ძვირი არ არის, როგორც საქართველოში.

# ფასების დაკლება ნაციონალების კრახს გამოიწვევს



ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, მოდით, მიმდინარე პროცესები შევაფასოთ, უმძიმესია სოციალური ფონი, ჩვენი პრეზიდენტი კი არაადეკვატურ და ცინიკურ განცხადებებს აკეთებს, ყველაფერი მსოფლიო კრიზის ბრალიაო. როგორი იქნება თქვენი შეფასებები?***

— მივდივართ იმ მიმართულებით, რომლისკენაც გვიბიძგებს ხელისუფლება საკუთარი ქმედებით თუ უმოქმედობით, მაგრამ ამავე დროს ყალიბდება საზოგადოებაში გარკვეული მზაობა იმის თაობაზე, რომ რაც უფრო ხანგრძლივია საზოგადოების დუმილი, მით უფრო უკიდეგანოა ხელისუფლების თავხედობა საკუთარი ხალხის მიმართ. ეს იწყებს გამოვლინებას სულ უფრო და უფრო მეტ სფეროში და უპირველეს ყოვლისა, შედეგად ვიღებთ აუტანელ ყოფას ჩვენი

### როგორც მომთმენ ერს, ქართველებს მალე გინესის წიგნში შეგვიტანენ

მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილისთვის. დაგვამშვიდა ხელისუფლებამ თავისი გამოსვლებით, რომ თურმე მასზე არაფერია დამოკიდებული ინფლაციურ პროცესებში და ყველაფერი ეს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ახალი რეალობის ბრალია, მაგრამ არ არის საჭირო რაიმე ეკონომიკური განათლება იმისთვის, რომ სრულიად მკაფიოდ მივხვდეთ, ქართულ ინფლაციას საერთაშორისო მიზეზზე მეტი, შინაური ველური მიდგომა ასაზრდოებს და კვებავს. ამაზე არაერთი მაგალითია მოყვანილი უკანასკნელ დღეებში, როგორც ეკონომისტების ასევე პოლიტიკოსების მხრიდან. თუმცა, გრძელდება ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა ფორმულით — შეაყარე კედელს ცერცვი. ის, რომ ქართული ფასწარმოქმნის საიდუმლოება გაშიფრულია ხალხის მიერ და ხელისუფლება კი ცდილობს, რომ არ შეიმჩნიოს სრულიად მაფიოზური როლი საკუთარი, ამ ფასწარმოქმნისში, ცხადი ხდება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის. ხელისუფლებას არც პასუხი აქვს და არც სურვილი ამ პასუხის მოძიების, რატომ არის ჩვენი ფასები მუდმივად მზარდი, მაშინ, როცა მსოფლიოში, იქ სადაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპები მოქმედებს, ფასები ხან იზრდება, ხან მცირდება. ფასების შემცირების ტენდენცია ნაციონალური მოძრაობისთვის, როგორც ჩანს, არის კრახის მომასწავებელი საკუთარი ძალაუფლებისთვის, ამიტომ ნებისმიერი გზით მხოლოდ გაძვირებისკენ მიდის ქვეყანა, არანაირი საბაზრო ელემენტები არ ზემოქმედებენ ჩვენს ფასწარმოქმნაზე, გარდა ხელისუფლების უშრეტი მადის და სახელისუფლებო რეკეტის დაკმაყოფილების აუცილებლობა.

***— როდემდე გაუძლებს ამ ყველაფერს საზოგადოება, ბატონო სოსო?***

— ჩვენ ალბათ მალე შეგვიტანენ გინესის წიგნში, როგორც მომთმენ ერს, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ყოველდღიურად ამცირებენ, შინაგანი ძალა და შინაგანი მედიდურობა არ აძლევს იმის საშუალებას, ღიად გამოხატოს სოციალური პროტესტი და ერი, რომელსაც საუკუთრივ გამოხატულების ფლაშანი ჯერ კიდევ ჰგონია, რომ არის სიმღერა — რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, ალბათ გვიან, მაგრამ რაც უფრო გვიან მით უფრო მტკივნეულად გააცნობიერებს, რომ ის აღმოჩნდა ერთი მუჭა პოლიტიკოსების, საკმაოდ ბოროტი გართობის საგანი. თარიღებზე საუბარი დღეს წარმოუდგენელია, ერთი თვის წინ ბევრად უფრო მშვიდი ვითარება იყო არაბულ სამყაროში და ასეთი პროგნოზები, შეიძლება ერთეულებს ჰქონოდათ, ისიც ქვეყნის შიგნით. ვგულისხმობ იგივე ტუნისს, ეგვიპტეს, იორდანიას, შაუდის არაბეთს, სადაც ნელ-ნელა იკვეთება ერთმანეთის ანალოგიური ტკივილები და ცხადია ცივილიზებული სამყაროსთვისაც არ არის მარტივი ასეთი მოცულობის ტერიტორიებისა და მოსახლეობის ერთდროული აღელვების პროცესში, რაიმე ზუსტი გზამკვლევი ამოიცნოს. ამიტომ ჩვენ დავრჩებით არსებულ მდგომარეობაში, ვიდრე საკუთარი სიმშვიდე მიგვაჩნია ხელშეუხებლად და მარტივად ჩავთვლით, რომ ყველაფერი ცუდი რაც ხდება, სხვის კარზე ხდება და თავად მას არასოდეს შეეხება. ამავე დროს თანდათან ორგანიზებული ხდება, ჩემი აზრით, გარკვეულ ოპოზიციურ ძალთა ქმედებები, არის ნიშნები იმისა, რომ პოლიტიკური ზამთარი, ოპოზიციური სპექტრის ზოგიერთი სუბიექტისთვის გავიდა და უკვე პოლიტიკური გაზაფხულის ნიშნები გაფიქრებინებს, რომ დაშვებული შეცდომები უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, იქნება მკაფიოდ გააზრებული და შესაბამისი დასკვნების გამოტანაც არ გაუჭირდებათ ჩვენს პოლიტიკოსებს. არსებობს საკითხები, რომელშიც პოლიტიკური ძალები უნდა იყვნენ თავისთავადნი და ჰქონდეთ საკუთარი სახე, საკუთარი გამორჩეული ხედვა, მაგრამ დღეს უმრავლესობა პრობლემებისა, რომელიც ქვეყანაშია, მოითხოვს ერთიან ხედვას და კოორდინებულ ნაბიჯებს. ამის პოტენციალი გააჩნია ოპოზიციას, თუმცა, დრო საკმარისზე მეტია დაკარგული, რომ ვყოფილიყავით უფრო წინ, ვიდრე დღეს შეიძლება წარმოვიდგინოთ.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად არის შესაძლებელი იგივე განმეორდეს ჩვენთან, რაც დღეს ეგვიპტეში ხდება?***

— ძნელად წარმომიდგენია, გამომდინარე, როგორც დიქტატურის ხანგრძლიობის, ასევე მოსახლეობისა და ტერიტორიების გათვალისწინებით. მოდით, ნურც რომელიმე ისტორიულ პროცესში გვექნება პრეტენზია, რომ ეგვიპტის ტოლფას სახელმწიფოდ წარმოვიდგინოთ საქართველო. როდესაც ტურიზმზე ვსაუბრობთ, როგორც ქვეყნის გადარჩენის ძირითად საშუალებაზე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეგვიპტური გაქანების პერსპექტივა ქართულ ტურიზმს არასოდეს ექნება, თუ არ დავიპყრობთ იმ ტერიტორიების ნახევარს მაინც, რასაც ფლობს ეგვიპტე. ეს კი ცხადია, გამორიცხულია. ამიტომ ვიყოთ ადეკვატურნი იმ რესურსების, რომელიც გაგვაჩნია და ეგვიპტეზე მეტ სატრაბახოს ნუ დავუმკვიდრებთ საკუთარ თავს. უსაფუძვლო ტრაბახი ბევრად უფრო დიდი იმედგაცრუებით მთავრდება, ვიყოთ რეალისტები, შეწვირგოთ ის რაც უფალმა გვარგუნა, მაგრამ ნუ ვიქნებით მომთმენი უსამართლობის. სამართლიანობა ოდიდგანვე ქართული ცნობიერების საფუძველი გახლდათ და ის რა დღეშიც დღეს იმყოფება, სამართლიანობა ჩვენს ქვეყანაში არის უთუოდ ამოვარდნილი, როგორც ისტორიული, ასევე კულტოროლოგიული კონტექსტიდან და ის უმალ ადგილზეა დასაბრუნებელი.

***— ფაქტია, რომ ხელისუფლებას მადა დღითიდღე ეზრდებათ...***

— ვენაცვალე მაგათ მადას, აი, ვის მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ დარდი, უჭმელი შვილებისა, ეს სწორედ ხელისუფლების წარმომშობი ძალები იქნებიან. როდესაც ბავშვს დროზე არ გამოართმევ ხელიდან ასანთს, რასაკვირველია, ის ადრე თუ გვიან სრულიად უმიზნოთ და მავნე შედეგით გამოიყენებს ამ ასანთს. ახლა ყველაფერი საზოგადოების გადასაწყვეტია.

***— ასე ალბათ დიდხანს ველარ გაგრძელდება...***

— ეს არის ჯერჯერობით იმედი. რეალობა ცოტა სხვაა, თუმცა, ხელისუფლება თავად შეიქმნის საფრთხეს საკუთარი თავის მიმართ.

## ბაკურ კვეზერელი: საქართველოში არც ერთი პროდუქტის დეფიციტი არ არის



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელის მტკიცებით, საქართველოში არცერთი პროდუქტის დეფიციტი არ არის. როგორც მან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მთავრობის ეკონომიკურ გუნდის შეხვედრაზე განაცხადა, ქვეყანაში პირველადი მოხმარების ყველა პროდუქტის მარაგი არის შექმნილი და მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს.

მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში 90-იანი წლები აღარ განმეორდება, როცა დეფიციტი ყველა სახის პროდუქტზე არსებობდა.

— ქვეყანას 90-იანი წლების გამოცდილება აქვს, მაგრამ მაშინ სახელმწიფო პოლიტიკა და ფისკალური ინსტიტუტები არ არსებობდა, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

**მედიანიუსი**

## აფხაზეთის კონფლიქტის ზონასთან, შესაძლოა, გაეროს ჯგუფმა იმუშაოს

აფხაზეთის კონფლიქტის ზონასთან, შესაძლოა, გაეროს ჯგუფმა იმუშაოს.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა და ჟენევის მოლაპარაკებებზე გაეროს წარმომადგენელმა ანტი ტურუნენმა ისაუბრეს.

შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში, კერძოდ, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელეს. მათ დეტალურად განიხილეს ამ რეგიონში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მუშობა.

— ამასთან დაკავშირებით, მხარეებმა განიხილეს რეგიონში გაეროს ყოფნის პერსპექტივები, მათ შორის ჟენევის „გაეროს ჯგუფის" მომავალი დაფინანსების საკითხი, — აცხადებს ლავროვის უწყების ვებგვერდი.

კარასინმა ტურუნენი გუშინ მიღო, დღეს კი იგი ტურუნენთან ერთად ჟენევის მოლაპარკებების სხვა თანათავმჯდომარეებსაც ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს პიერ მორელისა და ეუთოს სპეცწარმომადგენელს გედრიუს ჩეკუოლისს შეხვდა. მათ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებთან არსებულ ვითარებაზე, ასევე, ჟენევის მოლაპარაკებათა მომდევნო რაუნდის დღის წესრიგზე იმსჯელეს.

რუსულმა მხარემ ქართული, აფხაზური და ოსური მხარეების მიერ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების გაფორმების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.ჟენევის დისკუსიების მომდევნო რაუნდი 4 მარტისთვის არის დანიშნული.

**ინტერპრესნიუსი**

## მიხეილ სააკაშვილი: საქართველო სიმინდის ექსპორტიორი გახდება

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო სიმინდის ექსპორტიორი პირველად გახდება. ქვეყანას ამის საშუალებას ამერიკული სიმინდის პროგრამის განხორციელება მისცემს, რომელიც 2011 წლიდან დაიწყება. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა განაცხადა, მისი განხორციელების შედეგად, სიმინდის მოსავლიანობა, სულ ცოტა, სამჯერ გაიზრდება.

ბაკურ კვეზერელის განცხადებით, ამერიკული სიმინდის დათესვის შემთხვევაში მოსავლიანობა იმდენად იზრდება, რომ ამის დაჯერება რთულია და სამინისტრო „მოსახლეობის დარწმუნებას მაქსიმალურად ცდილობს".

მიხეილ სააკაშვილის თქმით, თუ საქართველომ წარმოება არ ისწავლა, ტურიზმის სექტორის ზრდაგანვითარების პირობებში „სოფელი ვერ იხეირებს".

**მედიანიუსი**

# შეეშველეთ მოსახლეობას, შიმშილით ნუ დახოცავთ!

*შორენა კოწოწაშვილი*

**საქართველოს ლეიბორისტული პარტია აკეთებს სპეციალურ განცხადებას და თხოვნით მიმართავს პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის 100 მილიონიანი ფონდებიდან შეიძინოს და შიმშილის ზღვარზე მყოფ საქართველოს მოსახლეობას დაურიგოს თითო ტომარა ფქვილი მაინც.**

**ამ შინაარსის განცხადება ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა და ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მშვიდად არ უნდა იყოს მშიერი მოსახლოების პირისპირ.**

— მშიერი გაზაფხულის წინ სოციალურად დაუცველი საქართველოს მოსახლეობა შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშეა, ხოლო ქვეყანა სოციალური აფეთქების ზღვარზე იმყოფება, — განაცხადა ნესტან კირთაძემ და ურჩია პრეზიდენტ სააკაშვილს, გამოვიდეს თავისი ვირტუალური სამყაროდან და რეალურად დაინახოს, რა მდგომარეობაშია სრულიად გაღარიბებული საქართველოს მოსახლეობა.

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა პრესასთან უკანასკნელი ოფიციალური მონაცემებიც მოიყვანა და აღნიშნა, რომ 2 მლნ-მდე მოქალაქე სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ამას კირთაძის თქმით, ისიც ემატება, რომ კატასტროფულად იზრდება ფასები სასურსათო პროდუქტებზე. სამომხმარებლო კალათა ძირითადად დატვირთულია წიწიბურით, ბრინჯით, ფქვილით და ბურღულეულით.

— ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობისთვის უკვე დიდი ხანია ფუფუნებაა სრულფასოვანია კვება და ზემოაღნიშნული პროდუქტებიც კი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის უკვე ხელმიუწვდომელია. ამ მხრივ ყველაზე მძიმედ გამოიყურება სოფლის მოსახლეობა და საქართველოს მთიანეთი. ყოველდღიურად იზრდება ფასები საწვავზე, რომელიც ავტომატურად აძვირებს ჩვენი მოსახლეობის ისედაც გაუსაძლის ცხოვრებას, — განაცხადა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, საარსებო მინიმუმი ბოლო მონაცემებით 150 ლარით განისაზღვრა, ხოლო საშუალო ოჯახზე — 250 ლარით. აღნიშნული თანხებით კი, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, არათუ შეუძლებელია არსებობა, არამედ ესეც კი მიუწვდომელია მოსახლეობის უდიდესი უმრავლეობისთვის.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი შეეხო აგრეთვე ინფლაციას და აღნიშნა, რომ ქვეყანაში ფიქსირდება გაუგონარი ინფლაცია, რაც ოფიციალური მონაცემებით 11,2%-ს შეადგენს. ამ ფონზე უპერსპექტივო თემაა ახალი სამუშაო ადგილები და მასობრივი უმუშევრობის დაძლევა, რაზეც ხელისუფლების წარმომადგენლები რიგ-რიგობით აპელირებენ.

— ჩვენ კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, დაასრულოს მჭმუნვარე და გულისამაჩუყებელი გამოსვლები ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებაზე და საქართველოში შექმნილ მძიმე სოციალურ ვითარებაზე და რეალურად დაეხმაროს აშიმშილებულ მოსახლოებას. ვითხოვთ, პრეზიდენტის და მთავრობის მრავალ ასმილიონიანი ფონდებიდან თითო ტომარა ფქვილი მაინც დაურიგონ შიმშილით სიკვდილის ზღვარზე მყოფ მოსახლეობას, — განაცხადა ნესტან კირთაძემ და დააკონკრეტა, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო მდგმარეობაშია სოფლის მოსახლეობა და საქართველოს მთიანეთი.

რაც შეეხება ხელისუფლების გადაწყვეტილებას, ვაუჩერებით დაეხმაროს სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელში ეს გადაწყვეტილება მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანებას იწვევს. კირთაძე ამას ხელისუფლების მორიგი პიარით ხსნის და აცხადებს, რომ ეს საკმარისი არ არის.

— ჩვენ არაერთხელ გვინახავს ხელისუფლების ასეთი პიარ-პროპაგანდისთვის შექმნილი რალაცა ტიპის კამპანია. მათ შორის არის, რა თქმა უნდა, ვაუჩერების კამპანია, რომელიც რეალობასთან ახლოს არ არის, — აღნიშნა კირთაძემ, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ განცადებების შემდეგ ექსპერლული საზოგადოებისა და ხელისუფების წარმომადგენლებისგან გაკეთდება განცხადებები, რომ ჩვენ უნდა მოვხედოთ სოფლის მეურნეობას. რეფორმები უნდა გავატაროთ სოფლის მეურნეობაში, სოციალური პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა ავიყვანოთ და ა.შ.

— იდეაში ეს ყველაფერი მართლაც გავაკეთებელია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი უძლური აღმოჩნდა. მან ვერაფერი ვერ გააკეთა ამ რეფორმების გზაზე. ჩნდება ერთადერთი ტენდენცია: საქართველო არის არა გაღარიბებისა და გაღატაკების ზღვარზე, არამედ იგი არის უკვე გაღარიბებული და გაღატაკებული ქვეყნების სიაში. დღეს შველა სჭირდება კონკრეტულ ადამიანებს, სოფლის მოსახლეობას. მიგვაჩნია, რომ ეს დახმარება ფქვილის დარიგება რეალურად გამოიწვევს შეღავათს მოსახლეობაში. რაც შეეხება დანარჩენს, ეს, რა თქმა უნდა, გასაკეთებელია, — აღნიშნა ნესტან კირთაძემ.



გუშინვე შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელმა გაიხსენა ის შეფასებები, რომელიც ლეიბორისტული პარტიის მხრიდან სოციალურ თემატიკათან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს ახლდა თან. კირთაძის თქმით, საზოგადოებამ უნდა დაივიწყოს ის შეფასებები, როგორც უწოდებდნენ, სოციალური პოპულიზმი, მემარცხენე პოპულიზმი და ა.შ.

— დღეს, როდესაც საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, ყველა ფლანგი, მათ შორის ხელისუფლებაც, დაბეჯითებით საუბრობს უკვე სოციალური პოლიტიკის უმძიმეს მდგომარეობაზე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობა, რომელიც შიმშილობს, მისი ხელისუფლებისაგან უნდა გრძნობდეს რეალურ დახმარებას. ჩვენი მოწოდება ასეთია: შეეშველეთ მოსახლეობას და ნუ დააყენებთ მას შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.

***— ქალბატონო ნესტან, ექსპერტები პოლიტიკოსებისგან განსხვავებით საქართველოში სოციალურ ნიადაგზე გამოსვლებს გამორიცხავენ. ფიქრობთ, რომ სოციალური ბუნტი აქ არ მოხდება?***

— ამ ბოლო დროს, უკვე კარგა ხანია, საექსპერტო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ საქართველოში სოციალური მოტივებით მოსახლეობის გამოსვლის ტრადიცია არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ამ ტიპის გამოსვლები არ შეიძლება იყოს. ეს არის აბსოლუტურად ყალბი კლიშეები. იმიტომ, რომ სოციალური მოტივები საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმარავლესობისთვის და მთლიანად ქვეყნისათვის არის გადამწყვეტი მნიშვნელობის და რატომ: პირველ რიგში, ეს ეხება სრულიად დაუცველ და შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე პირისპირ მდგომ ადამიანებს. ასეთი ადამიანების რაოდენობა ხელისუფლების გაყალბებული ოფიციალური სტატისტიკითაც კი 2 მლნ-მდეა. როდესაც ყოველდღიურად ძვირდება ფასები საკვებზე; როდესაც უკანასკნელი კვლევებით შედეგები გამოაქვეყნა სტატისტიკის დეპარტამენტმა და უჩვენა, რას მოიხმარს ძირითადად მოსახლეობა, ეს ნათელს ხდის იმას, რომ დიდი ხანია მოსახლეობამ დაივიწყა სრულფასოვანი კვება და ძირითადად ბურღულეულით იკვებება; როდესაც მონოპოლისტები უმძიმეს ფასებს აწესებენ საწვავზე და კიდევ უფრო მეტად აძვირებენ ცხოვრებას; როდესაც ინფლაცია კატასტროფულია და თანაც მზარდი, უძვირესია წამლები და მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურება ხელმიუწვდომელია, ასეთ ვითარებაში ადამიანებში ინსტინქტურად ჩნდება გადარჩენისთვის ბრძოლა. მაგრამ მინდა ჩვენს სკეპტიკოს ექსპერტებს და პოლიტიკოსებს ვუთხრა სხვადასხვა პოლიტიკურ ფლანგზე, რომ ეს არის არათუ ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლა, არამედ ეს არის ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა. დამერწმუნეთ, ჩვენი ქვეყნის მშიერი ადამიანების უდიდესი უმრავლესობა, ნაკლებად იფიქრებს ან არ იფიქრებს ისეთ მაღალ კატეგორიებზე, როგორიც არის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ა.შ. სხვათა შორის, ასეთი რამ საქართველომ 1921 წელს გამოსცადა. როდესაც სიკვდილის ცელი შემოდიოდა თბილისის ქუჩებში, გარდა ახალგაზრდების რამდენიმე კორპუსისა და ზოგადად, პატრიოტულად განწყობილი ჯგუფებისა, ძირითადი წინააღმდეგობა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არ გაუწევია.

***— 90-იან წლებშიც უჭირდა ხალხს. თუმცა, მაშინ სოციალურ ნიადაგზე ხალხი ქუჩაში არ გამოსულა.***

— 90-იანი წლები, ეს ის დრო იყო, როდესაც ერთი სისტემა მეორეს ეთხოვებოდა. ერთი სისტემისადმი წინააღმდეგობამ, დაბადა მეორე სისტემა. არსებობდა რესურსები, როგორც ფინანსური, ისე წიაღისეული, სამუშაო ადგილების რესურსი და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, იმედის რესურსი არსებობდა. მაშინდელი გაჭირვება სოციალურ გაჭირვებაში კი არ გადავიდა, არამედ საყოფაცხოვრებო კრიზისში ჩაიკეტა იმის გამო, რომ კიდევ გრძელი გზა იყო გასავლელი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

***— დღეს ეს რესურსები არ არსებობს?***

— არსებობს. სოფლის მეურნეობის გაძლიერების, სამუშაო ადგილების შექმნის, სოფლის მეურნეობის გაძლიერების. რესურსი სახელმწიფოებრივ დონეზე სოციალური და სხვა პოლიტიკის აყვანისა და გაძლიერების, მაგრამ არ არსებობს, ნება. ანუ ამ ხელისუფლებამ ნება არ გამოხატა და პირიქით, ქვეყანა წაიყვანა გაღარიბებისა და გაღატაკების გზაზე.

***— რადგან ხელისუფლების ნება ახსენეთ. რამდენად შესაძლებელია, რომ მართლაც მიზანმიმართულად ახორციელებდეს სააკაშვილი და მისი გუნდი ასეთ ანტიადამიანურ და ანტისოციალურ პოლიტიკას, როგორც ოპოზიციის ნაწილი მიანიშნებს?***

— მე არ მიყვარს სიტყვა არაადექვატური ან ადექვატური. ჯობია, ჩვენ პოლიტიკოსებმაც და ექსპერტებმაც ამ სიტყვის ნაცვლად გამოიყენონ სიტყვა უპასუხისმგებლო ან პასუხისმგებლობით სავსე. მე იმას ვამბობ, რომ დღევანდელი ხელისუფლება სავსეა პასუხისმგებლობით საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, და ამ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მან კიდევ ერთი, უძლიერები ბერკეტი ხელოვნურად შექმნა მონოპოლიების სახით. ეს მონოპოლისტები არიან ხელისუფლების წევრები ფარულად ან ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები პირდაპირი გაგებით. ეს მონოპოლისტები აწესებენ ძალიან მზარდ ფასებს საწვავზე, პროდუქტებზე, წამლებზე და ა.შ. ატყავებენ და აღარიბებენ საქართველოს მოსახლეობას და თავად მდიდრდებიან. ყველაფერმა ამან გამოიწვია, ერთის მხრივ, დაუძლურებული მოსახლეობა, რომელსაც ამავდროულად ჩვენი ხელისუფლება პიარ-ტექნოლოგიებით აჩეჩებს ინფორმაციას ოპოზიციის უუნარობაზე. ამით ხალხს ტოვებს სრული უუნარობისა და დაუძლურების ფონზე. დიახ, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ამ ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა მონოპოლიები და ბაზარიც ხელოვნურად გააძვირა.

***— საუბური იქითკენ მიგყავთ, რომ სააკაშვილი მშვიდად არ უნდა იყოს და თან დაწმუნებული, რომ საპრეზიდენტო ვადას უპრობლემოდ ჩაასრულებს? ოპოზიციის ნაწილი ვადემდელ არჩევნებს არ გამორიცხავს.***

— სააკაშვილიც და არა მარტო ის, ნებისმიერი ქვეყანა უნდა ახდენდეს ძალიან მკაფიო ანალიზს, რა ხდება ჩვენ გარშემო. ხდება სრულიად უცხო ფაზა კაცობრიობის დღევანდელ მონაკვეთზე. ანუ დამთავრდა 21-ე საუკუნის პირველი ათწლეული და იწყება სრულიად ახალი ციკლი, რომელიც საქართველოსაც ეხება. ამ ციკლის პირველი ნიშანია ის, რომ ავტორიტარი ხელისუფალნი გაჰყავთ პოლიტიკური აქტიური სცენებიდან და შემოდის რბილი და მსუბუქი ძალაუფლების ანუ ინტერნეტ ტექნოლოგიების მიხედვით მობილიზებული ადამიანების მიერ მოყვანილი ხელისუფლებები. მეორე მთავარი ნიშანი ის არის, რომ ყველგან გვერდზე გასწიეს პოლიტიკური პარტიები და ხალხი თავად იწყებს თავის ემოციების და სურვილების მობილიზებას. გავიხსენოთ ყირგიზეთი, ტუნისი და ის, რაც დღეს ეგვიპტეში ხდება. ამის გავრცელება სხვა ქვეყნებშიც მოხდება. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რეგიონი შინაგანად უკვე ემზადება, რომ ასეთი ტიპის პროცესები მოხდება მათ ქვეყნებშიც. ეს ხდება ბევრი მიზეზის გამო: პირველი — მსოფლიო დიდი აქტორები იწყებენ მსოლფიოს ხელახალი გადანაწილების პროცესს. ამ გადანაწილების ძირითადი მიზეზია ნავთობი, ნავთობტრასები და ნავთობრესურსები. ის ქვეყანა ან ქვეყანათა ჯგუფი, რომელიც მოიპოვებს ნავთობტრასებზე და ნავთობმარაგებზე ოქროს პაკეტს, ის იქნება მმართველი პოლიტიკური ძალისა და გავლენისა მთელ მსოფლიოში. პრობლემა მეორე: მოხდება თუ არა ეს კონკურენციით ან ურთიერთშეთანხმებით საქართველოსა და კავკასიის მიხედვით. სადაც დღეს ცილობაა, აქვთ რამდენიმე დიდ ქვეყანას მასზე პოლიტიკური გავლენისთვის. რეალურად ამ წუთში საქართველო არის პროტექტორატი აშშ-ის. მაგრამ საქართველოსადმი თავის პოლიტიკურ ცილობას ამჟღავნებს რუსეთი ტრადიციულად და თურქეთი. უფრო მეტიც, თურქეთის მისწრაფებებია მოუსპოს საქართველოს მისი, როგორც კავკასიის ლიდერის ფუნქცია და ყველა ეს ფუნქცია გადაიტანოს უკვე ოფიციალურ ანკარაში. ანუ საქართველოსთვის ახალი ტიპის გამოწვევებია. ყველამ დავინახეთ, რომ ახლა სოციალური მედია დიდი როლს თამაშობს. ამ გზით ხდება ადამიანების ემოციების მობილიზება და გამორიცხული არ არის პროტესტიც ამ ფონზე მოხდეს. ასე მოხდა ყველგან და ასეთი ტიპის მოქმედებები გავრცელდება სხვა ქვეყნებშიც. სპეცსამსახურები ეფექტურად მიანიშნებენ, რომ დღეს სოციალური მედია არის მთავარი და წარმმართველი. რომ საზოგადოებაა თავად წარმმართელი პოლიტიკური პოოცესის. ეს შეიძლება გავრცელდეს საქართველოშიც.

# საქართველოში არჩევნები აუქციონად იქცა

**საქართველოში ბევრი პოლიტიკური პარტია და მოძრაობა არსებობს. ცოტა ხნის წინ საქართველოში სამოქალაქო მოძრაობა „სამშობლოს მაძიებლები“ შეიქმნა. ამ მოძრაობის შექმნის ინიციატივით ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვახუშტი ფარცვანია გამოვიდა. რომელსაც, როგორც თავად ამბობს, ამ ნაბიჯის გადადგმისკენ პოლიტიკოსებმა უბიძგეს.**

**როგორ უნდა ვიპოვოთ დაკარგული სამშობლო, რატომ გადაიქცა პოლიტიკა ვაჭრობის სფეროდ და რა საჭიროა ახალი მოძრაობა, ამის შესახებ ვახუშტი ფარცვანია „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

## როდის იპოვიან სამშობლოს „სამშობლოს მა იებლები“



თეა მარხვაი ე

ვახუშტი ფარცვანია:

— ვიწყებთ ახალ სახალხო ეროვნულ მოძრაობას, რომელიც უკვე ორი თვეა რაც ჩამოყალიბდა. ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ გაამართლეს. მათ ვერ შეასრულეს სახალხო დაკვეთა. რა არის სახალხო დაკვეთა? სიტყვის თავისუფლება, არ ირღვეოდეს ადამიანის უფლებები, იყოს სამუშაო ადგილები და სამართალმა პური ჭამოს. ჩვენ ვაგინებდით კომუნისტებს და რაკი ისინი ცუდები იყვნენ, მაშინ ხალხისთვის უკეთესი უნდა შეგვეთავაზებინა. ეს ვერ შევძელით. ამის გამო საქართველო 20 წელზე მეტია ინგრევა. ამ 20 წლის განმავლობაში ეროვნული თანხმობა ვერ შედგა. ეროვნული ცნობიერება არის გახლეჩილი. ამიტომაც არის, რომ ქვეყანაში ძაღლი პატრონს ველარ ცნობს და უძაღლო ქვეყანაში კატებმა დაიწყეს ყეფა. ყოველთვე გეომეტრიული პროგრესით იზრდება მიგრაცია. საქართველოდან მიდის ყველა, ვისაც ძალა ერჩის. სოფელი ფაქტიურად დაცარიელდა. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს სოფლის დასაცლელად.

***— ხელისუფლება სოფლიდან ძალად არავის არ აგდებს. ეს ადამიანები საკუთარი ნებით ტოვებენ იქაურობას.***

— ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლება სოფლის მოსახლეობას ეუბნება, მანდაურობა დატოვეთო. პოლიტიკა აქვთ შემუშავებული ისეთი, რომელიც ადამიანს ატოვებინებს სოფელს. დღეს ჩვენს სოფლებში გაუსაძლისი მდგომარეობაა. ხალხი სიდუხჭირეში ცხოვრობს. ადამიანები მიწის დამუშავებას ვერ ახერხებენ. გლეხს საკუთარი ოჯახის გამოკვებაც კი აღარ შეუძლია. ამ პოლიტიკამ ადამიანები არარაობად აქცია. ახალგაზრდობას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. ოჯახებს ვერ ქმნიან და ამიტომაც მიდიან ბედის საძებნელად საზღვარგარეთ. სოფლად დარჩენილი მოხუცები კვდებიან. სოფლები კი ვერანდება. მერე უცხოელები მოდიან და ნთქამენ ჩვენს მიწას. ტყეში ფიჩხსაც კი ვერ მოაგროვებ, საქონელსაც ვერ გაუშვებ გარეთ.

***— ამან გადაგაწყვეტინათ შეგექმნათ სამშობლოს მაძიებელთა მოძრაობა?***

— არა მარტო ამან. თუმცა ესეც საკმარისი მიზეზი იყო. ხალხი არის გაღატაკებული. ცნობიერება სერიალების დონეზეა დასული. თქვენ გგონიათ, რომ სერიალებს შემთხვევით აჩვენებენ? არა, ეს შეგნებულად კეთდება. ამდენი სერიალი არის საშინელება.

***— რატომ არის საშინელება?***

— იმიტომ, რომ ეს არის ტვინების არნახული მასშტაბით გამორეცხვა. პენსიონერები მთელი არსებით არიან ჩართული ამ სიბინძურის ყურებაში. რაც შეეხება იმას, თუ რამ გადამაწყვეტინა ახალი მოძრაობის შექმნა, საამისოდ ძალიან ბევრი მიზეზი მქონდა. ჩემთვის ძალიან კარგად არის ცნობილი ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს პოზიციასა და ოპოზიციაში. ვნახე, რომ პოლიტიკა არის მონოპოლიზირებული. დავრწმუნდი იმაშიც, რომ ვაჭრობის საგნად და ბიზნესად გადაიქცა პოლიტიკა. ვერ გაარკვევ დღეს, სად არის პოზიცია და სად ოპოზიცია. ეს არავის არ ეწყინოს, ვისაც ეწყინება, ცივი წყალი დალიოს. მადლობა ღმერთს, წყალი მაინც უხვად გვაქვს.

***— ამბობენ, ხელისუფლებამ წყალიც გაყიდაო.***

— დასალევად საკმარისია. მე მართლა ველარ ვხვდები, ვინ არის დღეს პოზიცია და ოპოზიცია. მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ ეს ასეა. მოსახლეობა საშინელ დღეშია. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის განწყობა, რაც მოსახლეობას გააჩნია.

***— რა განწყობაზე საუბრობთ?***

— ყველამ კარგად ვიცით, თუ რა საშინელებებს სჩადის ხელისუფლება. მოსახლეობა კი ხელისუფლების მიერ ჩადენილ ბოროტებას ოპოზიციას აბრალებს. ოპოზიციამ ხალხს ბევრჯერ გაუცრუა იმედები და ამიტომაც ხდება ასე.

***— თქვენი საუბრიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიციის ოპოზიცია გამოდიხართ.***

— მე ჯერჯერობით თავს შევიკავებდი ასეთი ფორმულირებისგან. თუმცა ეს შეფასება სიმართლესთან ახლოს არის. ნებისმიერი აქტიურობა პოლიტიკას ნიშნავს. მე ამ დღეებში პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ მოძრაობებს მოწოდება გავუგზავნე. მე ვთხოვ ყველას, რომ შევქმნათ წინააღმდეგობის რეალური კერა. მე ვთხოვ ყველას, რომ ეს მოძრაობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან დავიწყოთ.

***— რატომ მაინცდამაინც ამ რეგიონიდან?***

— იმიტომ, რომ იქ არის გაჯეჯილებული ჩვენი მთავრობა. ამ რეგიონში გაუვიდათ ყველაზე მეტად თავზე. გავაკეთებთ ისე, რომ სამეგრელოში ვერ ჩამოვა ეს მთავრობა. თუ ეს გავაკეთეთ, ჩათვალეთ, რომ წინააღმდეგობის კერები მთელ საქართველოს მოიცავს. თქვენ სვამთ კითხვას, რატომ მაინცდამაინც ამ რეგიონიდანო, მე რამდენიმე მიზეზს მოვიყვან, რატომ უნდა დაიწყოს აქედან. სახალხო ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან იმიტომ უნდა დაიწყოს, რომ: 1. აფხაზეთის პრობლემის გასაღები დევს ამ რეგიონში; 2. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში ყოველი სამთავრობო უმსგავსოების დამკვიდრება (რაც უბედურებად ევლინებოდა საქართველოს) სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელდასმით ხდებოდა; 3. მიუხედავად ყველაფრისა, ყველაზე მეტად ეს რეგიონია დაზარალებული; 4. ეს რეგიონია ფანჯარა რუსეთსა და ევროპაში და 5. სტრატეგიული თვალსაზრისით ეს რეგიონი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამას დავუმატოთ სანაოსნო. ფოთი-ანაკლია და ბათუმი გაყიდულია. იქ საშინელებები ტრიალებს.

***— რა საშინელებები?***

— იქ ტრანსნაციონალური კორპორაციები ბოგინობენ. ახლა ეცნენ ანაკლიას, რომელიც ვერასდროს ვერ იქნება კურორტი.

***— რატომ ვერ იქნება ანაკლია კურორტი?***

— იმიტომ, რომ იქ ზღვა სუფთა არასდროს არ იქნება. ამ დროს მიდის მილიონების ჩადება.

***— თუ ცნობილია, რომ ანაკლია ვერასდროს ვერ იქნება კურორტი, რატომ დებენ ფულს?***

— საქმეც მაგაშია. უნდათ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთიდან ხალხი გამოასახლონ. ასე რომ, ახალი მოძრაობის შექმნა ჩემი ახირება არ არის. ეს მოსახლეობის დაკვეთაა. მოსახლეობას სურს, რომ ხელისუფლება თავისი ხუშტურებით სამეგრელო-ზემო სვანეთში ვერ ჩამოდიოდეს. რასაც დღეს ხელისუფლება ამ რეგიონს უკეთებს, წარმოუდგენელია.

***— უკეთეს დღეში არც სხვა რეგიონები არიან?***

— მერე ვინ ამბობს, რომ სხვა რეგიონები კარგ დღეში არიან. იქაც აუტანელი ყოფაა, მაგრამ ამ რეგიონში მაინც განსაკუთრებული საშინელება ტრიალებს. იმას, რასაც ხელისუფლება სამეგრელო-ზემო სვანეთში აკეთებს, ჰქვია ანექსია. ხელისუფლებამ მთელი დასავლეთ საქართველოს ანექსია მოახდინა. ხელისუფლება არის გველეშაპი, რომელსაც თავი აქვს თბილისში, კუდი კი დასავლეთ საქართველოში. თავი და კუდი თუ შეაერთა გველეშაპმა, მაშინ დამთავრებულია ყველაფერი. აქ სხვა ძალებიც თამაშობენ. საქმე ძალიან რთულად არის, მაგრამ გამოსავალი მაინც არსებობს. თუ ერს გადარჩენა უნდა, ის არ მოკვდება. ჩვენც უნდა მოვინდომოთ და გადავრჩებით. ჩვენს მოსახლეობაში დღეს გაბატონებული ცნობიერება დამღუპველია. ადამიანი ამბობს, რომ მე, ერთი ამომრჩეველი, რას გავაკეთებო. ეს არის ყველაზე უსუსურად მოაზროვნე ადამიანის ფიქრი.

***— რატომ არის უსუსურად მოაზროვნე ადამიანის ფიქრი, თქვენი აზრით, რისი გაკეთება შეუძლია ერთ ამომრჩეველს?***

— ძალიან ბევრი რამე შეუძლია. წვეთი წვეთს ემატება, რომელიც შემდეგ ნაჟურად იქცევა. ნაჟურთა ერთობლიობა პატარა წყაროს უდებს საფუძველს. წყაროები პატარა ღელედ გადაიქცევა. ღელეები პატარა მდინარედ იქცევიან. მდინარეები ზღვებს უერთდებიან. ზღვები კი ოკეანეებს ქმნიან. ასეა საზოგადოებაც. ის თითოეული წევრისგან შედგება. თუ ჩემი პროგრამა არ მოგწონს, შენი შექმნი. მე არ მომწონდა და შევქმენი სამშობლოს მაძიებელთა სამოქალაქო მოძრაობა. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ჩემი სამოქალაქო უფლებები დავიბრუნო. ამის გამო დავტოვე აუდიტორია. მივატოვე მეცნიერება და გამოვედი ახალი იდეით. მე ამისკენ მოვუწოდებ სხვასაც. ეს ისე არ გამიგოთ, რომ ვინმეს ჩემს გვერდით დგომისკენ მოვუწოდებდე. მე ხალხს ვთხოვ, რომ საკუთარი უფლებების სადარაჯოზე დადგნენ. ყველამ საკუთარ რეგიონში დავიწყოთ აქტიურობა. მე აქტიურობა ჩემს რეგიონში დავიწყე. მოვუწოდებ ოპოზიციონერებს, რომ მათაც თავიანთ რეგიონებში დაიწყონ სახალხო ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღა. ჩვენ მთელ საქართველოს უნდა მოვედოთ.

***— მთელ საქართველოს რომ მოედოთ, ხალხი უნდა დაგიდგეთ გვერდით. როგორ აპირებთ ხალხის აყოლიებას, როცა საზოგადოება ასეთი დაშინებულია?***

— გეთანხმებით, საზოგადოება დაშინებულია და დემორალიზებული. ხალხი ნიჰილიზმშია ჩავარდნილი. ამ 20 წლის განმავლობაში საქართველოში ძალიან ბევრი უბედურება დატრიალდა, რომელსაც ხალხი წინ ამ მოყელყელავე, ფსევდო ოპოზიციის და ინტელიგენციის გამო ვერ აღუდგა. ესენი კასტად ჩამოყალიბდნენ. ამ კასტის ბოგინი უნდა შეწყდეს. იმიტომ, რომ ეს კასტა თვალში გვაყრის ნაცარს. როგორც კი სიმართლეს ვიტყვით, ისინი იკვრებიან და გიტევენ. გმარხავენ ცოცხლად. ამ კასტის წევრებმა სხვა ადამიანებს ასპარეზი არ დაუტოვეს.

***— მოდით, ისევ ახალ მოძრაობას დავუბრუნდეთ, ამ მოძრაობის მეშვეობით აპირებთ ასპარეზის დაბრუნებას?***

— ჯერ რას ვაპირებ, კაცო, ჯერ მარტო ვარ და მოგეხსენებათ ალბათ, რომ მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. მე ბევრი რამით ვარ უკმაყოფილო, მაგრამ არ ვყვირივარ და დედ-მამაზე არ ვიგინები. სათქმელს ამის გარეშე ვიტყვი. დღეს პოლიტიკაში მილიონები რომ ტრიალებს, ეს არის დიდი დანაშაული. საქართველოში გაუგონარი რამე ხდება. ქართულ პოლიტიკაში ყიდვა-გაყიდვა და ვაჭრობა დამკვიდრდა. სამშობლოსთვის საკეთილდღეო საკითხების გადაწყვეტას მილიონები არ სჭირდება. ამისთვის საჭირო გულანთებულობაა.

***— მარტო ანთებული გული საკმარისი რომ არ არის.***

— გეთანხმებით, რომ მარტო გული საკმარისი არ არის. ელემენტარულად გადაადგილებაა საჭირო. ამას არავითარი მილიონები არ სჭირდება. შევქმნათ საერთო ყულაბა. ოპოზიციურ პარტიებს აქვთ ფეშენებელური ოფისები. ეს ოფისები დროებით გააქირაონ. იმ ფასში ორ-სამ თვეში მთელ რეგიონებს მოივლიან. ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი ლომუზინით დადის. გაყიდონ ეს ლიმუზინები და ჩვეულებრივი მანქანებით იარონ. ეროვნული და მართალი საქმე მსხვერპლს ითხოვს. ესენი რომ ლიდერობენ და რაღაცეებზე პრეტენზიები აქვთ, თქვან, რომელი ერთი მათგანი იჯდა ციხეში საქართველოსთვის. თქვან, რომელი ერთი მათგანი გადააკვდა ქართველ ერს. თვალში ნაცრის შეყრას თავი დაანებონ და საქმე გააკეთონ. რეგიონები უკვე დიდი ხანია ელოდება ამ ხალხს.

***— ელოდება ვითომ?***

— რა თქმა უნდა, ელოდება. ყველა კუთხის შვილმა თავის რეგიონში დაანთოს წინააღმდეგობის კოცონი. მხოლოდ ასე მივაღწევთ მიზანს. ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდროთ რეალური თვითმმართველობა. რეგიონს ჰყავდეს თავისი რჩეული კანდიდატები ყველგან, იქნება ეს გუბერნატორი თუ სამხარეო პოლიციის უფროსი. იყოს ბრძენი ადამიანების სათათბირო. ახალი სახეების წარმოჩენა უნდა დავიწყოთ და არჩევნები უნდა გავხადოთ ღირსეულთა წარმოჩენის არეალი. ჩვენთან არჩევნებში ის იმარჯვებს, ვინც მეტ ფულს იხდის. გამაგებინეთ, ეს არჩევნებია თუ აუქციონი?! ქვეყანაში მიმდინარე უსამართლო პროცესებმა მე სამშობლო დამაკარგვინა. მე დაკარგული სამშობლოს ძიება უკვე დავიწყე. იმედია, სამშობლოს პოვნას სხვებიც მოინდომებენ.

## ვარძიის სამონასტრო კომპლექსთან ახალი ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს

ასპინძის რაიონში, ხერთვისი-ვარძიის საავტომობილო გზასთან, 70 მეტრიანი საავტომობილო ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს. ახალი ხიდი მოსახლეობას და ტურისტებს ვარძიის სამონასტრო კომპლექსთან დააკავშირებს.

ხიდის სავალ ნაწილზე, რომლის სიგანე 13 მეტრია ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება, ასევე მოეწყობა ტროტუარები და მოაჯირები. პარალელურად მიმდინარეობს საყრდენი კედლის მშენებლობაც, რომელიც ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

ძველი, სტიქიისაგან დაზიანებული ხიდით სარგებლობა მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა. მშენებლობის დასრულების შემდეგ განხორციელდება ძველი, ხიდის დემონტაჟი. ახალი ხიდით დაბა ასპინძისა და მისი 8 სოფლის (მირაშხანის, თმოგვის, იდუმალას, ძველის, ნაქალაქევის, სახუდაბელის, ნიალას და ორგორას) მოსახლეობა ისარგებელებს. პროექტი ხორციელდება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინირებით და ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ (მილენიუმი) დაფინანსებით. პროექტში 60 ადამიანია დასაქმებული. მათი უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობაა.

სამშენებლო სამუშაოები, დღეს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა პირადად მოინახულა.

**პრაიმ-ნიუსი**

## „ცენტრ-პოინტი“-ს მიერ დაზარალებულ კლიენტებზე სტუდია „მონიტორის“ ფილმის პრეზენტაცია გაიმართება

„ცენტრ-პოინტ ჯგუფი„-ს მიერ დაზარალებულ კლიენტებზე, 3 თებერვალს, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში, „სტუდია მონიტორი“-ს მორიგი ჟურნალისტური გამოძიების პრეზენტაცია გაიმართება. ფილმში მოთხრობილია იმ ადამიანების პრობლემები, რომლებმაც ცენტრ-პოინტს 2005 -2008 წლებში თანხები გადაუხადეს, კომპანიამ კი მათ მიმართ აღებული ვალდებულებები არ შეასრულა. რამდენიმე ათასი ადამიანი კომპანიისგან ბინების გადაცემას ან ფულის დაბრუნებას წლებია უშედეგოდ ელოდება.

ჟურნალისტურ გამოძიებაში ნაჩვენებია რომ კომპანია „დექსუსი“, რომელსაც გასულ წელს „ცენტრ-პოინტი“ მართვაში გადაეცა, დაზარალებულ მოქალაქეებს კაბალურ პირობებს უყენებს.

ფილმში ნაჩვენებია ცენტრ-პოინტის მუშაობის სქემა, ამ სქემით ათასობით ადამიანი დაზარალდა და მათ დიდ ნაწილს კუთვნილი თანხების დაბრუნება სასამართლოს მეშვეობითაც უჭირთ.

დღეს ცენტრ პოინტ ჯგუფის ქონების დიდი ნაწილი დაყადაღებულია, კომპანიის მდიდარი დამფუძნებლები საკუთარი ქონებით კლიენტების გასტუმრების ვალდებულებას არ იღებენ.

**პრაიმ-ნიუსი**

## გრძელვადიანი პაემნების პროგრამა 2014 წლის ნაცვლად მიმდინარე წელს ამოქმედდება

გრძელვადიანი პაემნების პროგრამა 2014 წლის ნაცვლად მიმდინარე წელს ამოქმედდება. როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, გრძელვადიანი პაემნებით უვადო პატიმრობამისჯილი პირებიც ისარგებლებენ.

უვადო პატიმრობამისჯილ პირებს ოჯახთან პაემნის უფლება მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ სასჯელაღსრულების განაწესს არ დაარღვევენ. ამის გამო ისინი გარკვეულ წახალისებას იმსახურებენ„, - განაცხადა ხუროშვილმა.

მისივე თქმით, გრძელვადიანი პაემნებისთვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა სასჯელაღსრულების 3 დაწესებულებაში უკვე დასრულდა და იქ აღნიშნული პროგრამა მარტიდან ამოქმედდება.

**პრაიმ-ნიუსი**

## არასრულწლოვნის პასპორტის გაცემა გამარტივდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრში ონლაინ სერვისების რაოდენობა გაიზრდა და ამჯერად საზღვარგარეთ მყოფ მშობლებს არასრულწლოვნის პასპორტის მისაღებად განცხადების ონლაინ რეჟიმში შევსება შეუძლიათ.

აღნიშნული სერვისის შესახებ, გუშინ, სამოქალაქო რეესტრში, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ პრესკონფერენცია გამართა. დღესვე ჟურნალისტებისთვის დისტანციური მომსახურების სამსახურის პრეზენტაციაც მოეწყო. როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, საზღვარგარეთ მყოფ მშობლებს საშუალება აქვთ დისტანციური მომსახურეობის სერვისით ისარგებლონ და სახლიდან გაუსვლელად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ონლაინ რეჟიმში გააკეთონ განცხადება არასრულწლოვანზე პასპორტის გაცემის თაობაზე.

არასრულწლოვნისთვის პასპორტის საზღვარგარეთ მიღება რთულ და ხანგრძლივ პროცედურასთან იყო დაკავშირებული. მშობლებს უწევდათ საზღვარგარეთ ადგილობრივ ნოტარიუსთან პასპორტის გაცემის თაობაზე თანხმობის შედგენა, აპოსტილით დამოწმება, დოკუმენტების საქართველოში გადმოგზავნა, თარგმნა და ა.შ. ახალი სერვისის თანამად, პასპორტი მიღების მსურველი რეკავს სამოქალაქო რეესტრში ტელეფონის ნომერზე 40 10 10 და სახლიდან გაუსვლელად აკეთებს განცხადებას„„- განაცხადა ვაშაძემ.

მისი თქმით, ონლაინ მომსახურეობით არასრულწლოვანი პირის პასპორტი ორ სამუშაო დღეში მზადდება და იგი 205 ლარი ღირს. საზღვარგარეთ მყოფ პირს დაბეჭდილი პასპორტის მიღება შეუძლია ფოსტით, ან მინდობილი პირის მეშვეობით. ფოსტით პასპორტის გადაგზავნის თანხა საფოსტო გადამზიდველების მიერ განისაზღვრება. დისტანციური მომსახურებით პასპორტის გაცემის საფასურის და საფოსტო მომსახურების ტარიფის გადახდა შესაძლებელია პლასტიკური ბარათის მეშვეობით ან საქართველოში, ნებისმიერ ბანკში ნაღდი ანგარისწორებით. ონლაინ მომსახურეობით პასპორტის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საზღვარგარეთ მყოფს აღებული ჰქონდა პასპორტი, ან პირადობის მოწმობა და სააგენტოს ბაზაში არსებული ფოტოსურათის მეშვეობით შესაძლებელია მისი იდენტიფიკაცია.

**პრაიმ-ნიუსი**

# როგორ ინაწილებენ რუსთავის საკრებულოში ფულებს

**ეროვნული ფორუმის რუსთავის ორგანიზაციის წევრები რუსთავის საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურნენ. რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილებით, რუსთავის თვითმართველობის სამსახურის თანამშრომლებმა დეკემბრის ხელფასი დანამატით მიიღეს, რისი საფუ ველიც, როგორც ეროვნული ფორუმის წევრები აცხადებენ, გამოთავისუფლებული თანხა გახდა.**

ნათია ხურცილავა

**გოჩა გუგეშაშვილი**, ეროვნული ფორუმის რუსთავის ორგანიზაციის წევრი:

— რუსთავის ბიუჯეტიდან 291 ათასი ლარი გამოთავისუფლდა, რომელიც საკრებულოს დადგენილებით გადანაწილდა რუსთავის საკრებულოს და მერიის თანამშრომლებზე სახელფასო დანამატის სახით. ეს თანხა თითოეულ ლარში გათვალისწინებული და გაანგარიშებული უნდა იყოს მიზნობრივი ხარჯებისთვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსთავის ბიუჯეტს არ აქვს იმის საშუალება, რომ ასეთი დიდი თანხა ქალაქის მასშტაბით შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა ხელფასებზე გადაინაწილონ. აღნიშნული თანხა ძირითადად გამოთავისუფლდა ამხანაგობა „დიდი— პოტენციალი“-დან ეს სამსახური საცხოვრებელი კორპუსების შესაკეთებლად არის შექმნილი. ძნელი დასაჯერებელია, რომ სწორედ ამ სამსახურიდან გამოთავისუფლებულიყო თანხა. რადგან რუსთავში საცხოვრებელი კორპუსები სავალალო მდგომარეობაშია, მაგალითად თუ გამოთავისუფლდა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გამოთავისუფლებული თანხა უნდა დახარჯულიყო და უნდა ჩადებულიყო ისეთ მნიშვნელოვან, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, როგორიც არის საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოციალური მომსახურების სფერო, კერძოდ, ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური მომსახურების სფეროებზე და ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე. სწორედ ამ პრობლემებიდან გამომდინარე, რომელიც უხვად არის ქალაქ რუსთავში, ჩავთვალეთ, რომ აქედან გამომდინარე გავაპროტესტოთ რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილება.

***— თუ მიმართეთ საკრებულოს წევრებს ან თავმჯდომარეს?***

— ჩვენ გავაკეთეთ მიმართვა საკრებულოს თავმჯდომარის კახა გურგენიძის და რუსთავის მერის სახელზე. ასევე აუცილებლად ჩავთვალეთ, რომ ჩვენი მიმართვის ასლი გაგვეგზავნა საქართველოს პრეზიდენტისთვისაც, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ნახოს, რა ხდება ადგილზე, როდესაც კორუფციის აღმოფხვრაზეა საუბარი, როდესაც საუბარია „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკაზე, მიხეილ სააკაშვილი ხაზგამით აღნიშნავს ყველა თავის გამოსვლაში, რომ მან კორუფცია დაამარცხა, ჩვენ პრეზიდენტთან გვაქვს კითხვა: რას ნიშნავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა? როდესაც ბიუჯეტისთვის მკაცრად განსაზღვრული თანხები გადაეცემა ცენტრალური ხელისუფლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეიძლება ამ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნული თანხა საკუთარი მიზნებისთვის მოიხმარონ? აქედან გამომდინარე სავალდებულოდ ჩავთვალეთ, რომ ეს ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტისთვისაც მიგვეწოდებინა.

***— თუ აკეთებს რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე აღნიშნულ ფაქტზე კომენტარს, თუ მოგცათ განმარტება?***

— საკრებულოს თავმჯდომარე ამ ფაქტის კომენტარისგან თავს იკავებს. ამიტომაც ვაკეთებთ სათანადო მიმართვას და დაველოდებით პასუხს, რა პასუხს გაგვცემს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ჩვენი პოზიცია არ არის გამოხატული რაიმე კერძო ან პარტიული კუთვნილებით. საინიციატივო ჯგუფი, რომლებმაც გავაკეთეთ მიმართვა, პასუხს ვითხოვთ შესაბამისი სამსახურებიდან, საკრებულოს თავმჯდომარემ და ქალაქის მერმა ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ ქალაქის მოსახლეობას ამ საკითხზე. რამდენად არის გამართლებული, რომ ასეთი დიდი თანხა, რომელიც შეიძლებოდა ქალაქს მოხმარებოდა, სოციალურად დაუცველ ფენებს მოხმარებოდა პირადი სახელფასო დანამატისთვის გამოიყენონ და არა იმ მიზნებისთვის და ამოცანებისთვის, რომელიც გათვალისწინებულია თვითმმართველობის შესახებ კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებულია საკრებულოს და მერიის დებულებებით. ამ დებულებებიდან გამომდინარე ეს სავალდებულოა პირველ რიგში სოციალური სფეროს და ჯანდაცვისთვის. კერძოდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, პირველადი მომსახურების ჯანდაცვა და შემდეგ სოციალური სფერო. ასევე შეიძლებოდა აღნიშნული თანხები კულტურის საკითხებს მოხმარებოდა. ჩვენთან ხელისუფლებამ კულტურა დაიყვანა მხოლოდ გასართობი კონცერტების მოწყობაზე და ცეკვა-თამაშებზე. კულტურა მხოლოდ ეს არ არის. კულტურული მემკვიდრეობა და ზოგადად კულტურა მოიცავს ძალიან ფართო სფეროს. ასევე შეიძლებოდა აღნიშნული თანხა მოხმარებოდა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. დაავადებათა კონტროლს და პროფილაქტიკას. რუსთავის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსებას. ბიუჯეტიდან დანაზოგი, გნებავთ, გამოთავისუფლებული თითოეული ლარი უნდა ხმარდებოდეს ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. ვიმეორებ, ჩვენ მოვითხოვთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია.

მიიღებენ თუ არა ეროვნული ფორუმის რუსთავის ორგანიზაციის წევრები აღნიშნულ მიმართვაზე, რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარისგან და ქალაქის მერისგან პასუხს, ჯერ უცნობია. თუმცა, როგორც ისინი აცხადებენ, მოსახლეობა სწორედ მათგან ითხოვს პასუხებს.

# ეროვნული და რუსთაველის პრემიებისთვის კონკურსმა სტარტი აიღო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების 2011 წლის კომისიამ შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად კონკურსი გახსნილად გამოაცხადა.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, რუსთველოლოგია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია ენიჭება — ხელოვნების დარგში: ლიტერატურის, მთარგმნელობითი და კვლევითი, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელმაც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და გამსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით; მეცნიერების დარგში — მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში; ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში — ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, რომელმაც საერთო ეროვნული აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს სამისა, თითოეული 15.000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიას, ენიჭება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა ლაურეატის დიპლომი, ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო.

საქართველოს ეროვნულ პრემიაზე კი განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, ტელევიზია, პუბლიცისტიკა, კულტურული მემკვიდრეობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, მედიცინა, ტექნიკა. საქართველოს ეროვნული პრემია ენიჭება: ხელოვნების დარგში — მაღალმხატვრული ნაწარმოებისათვის, რომელიც ასახავს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ნერგავს თავისუფლებისა და მომავლის რწმენას და მოპოვებული აქვს საერთო ეროვნული აღიარება; მეცნიერების დარგში — მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომისათვის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს მეცნიერების, ქვეყნის სულიერ, სოციალურ ან ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს ეროვნული პრემია გაიცემა არა უმეტეს შვიდისა, თითოეული 10 000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს საქართველოს ეროვნულ პრემიას, ენიჭება საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და გადაეცემა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის დიპლომი, ვერცხლის მედალი და ფულადი ჯილდო.

შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში და აქვთ შესაბამისი ავტორიტეტი და კომპეტენცია, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წევრებს. პრემიების მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნას პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად; პირი შეიძლება ერთდროულად წარდგენილი იქნას ორივე პრემიის მოსაპოვებლად; პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი; კონკურსებში ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ; მუსიკალური, სახვითი, თეატრალური, კინოხელოვნებისა და სატელევიზიო ნაწარმოების წარდგენა — მას შემდეგ, რაც მათ სრულად გაეცნობა საზოგადოება კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, კინოთეატრებში, პრესისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებებით; არქიტექტურის ნაწარმოებისა — მხოლოდ ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ; მეცნიერების დარგში — მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისა ან მისი პრაქტიკული განხორციელების შემდეგ. გარდაცვლილ შემოქმედს ან მეცნიერს პრემია ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილი იყო სიცოცხლეშივე, ან მოგვიანებით გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. კომისიის მიერ უარყოფილი ნაწარმოების ხელმეორედ წარდგენა პრემიის მოსაპოვებლად დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები (ნაშრომი) ტექნიკური მიზეზების გამო არ იქნა დაშვებული საკონკურსოდ. კონკურსებში ავტორთა კოლექტივების წარდგინებისას დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს 4 კანდიდატისა, გამარჯვების შემთხვევაში მათზე ფულადი ჯილდო თანაბრად გადანაწილდება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ნინო ბურჯანაძე დავოსიდან დაბრუნდა



„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დავოსიდან დაბრუნდა. ბურჯანაძემ მონაწილეობა მიიღო დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, რომლის დროსაც უსაფრთხოებისა და ეკონომიკური გამოწვევების საკითხები განიხილებოდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრები შედგა, როგორც პოლიტიკურ ლიდერებთან, ასევე, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ.

მათივე ცნობით, აღნიშნულ შეხვედრებზე დიდი ინტერესით განიხილებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესები და ამ პროცესებთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძის შეფასებები და ანალიზი.

—არაფორმალურ შეხვედრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ იმ ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, რომელიც მთელს მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს ელოდება, სავალალოა საქართველოს ხელისუფლების არაპროფესიონალური და არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მისივე თქმით, ასევე ნათელი იყო, რომ ილუზიები საქართველოს განვითარებასთან დაკავშირებით, თითქმის აღარ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება განუზომლად დიდ თანხებს ხარჯავს, რათა საკუთარი თავი და მისი პოლიტიკა მსოფლიოს თვალში ნათელ ფერებში წარმოაჩინოს. მათი პროგნოზები, ვინც რეალურად დაინტერესებულია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით, ნამდვილად არასახარბიელოა.

როგორც ბურჯანაძე აღნიშნავს, შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში ცვლილებები არ განხორციელდა, ქვეყანა ინერციით განაგრძობს სვლას, მას არანაირი შანსი, დაიცვას საკუთარი ინტერესები და ადგილი დაიბრუნოს რეგიონში, აღარ ექნება.

— ხოლო იმას, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არა თუ მოგვარდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა, არამედ მათ კიდევ უფრო დავშორდებით, პირად საუბრებში, პრაქტიკულად, ყველა აღიარებს, — დასძენს ბურჯანაძე.

ინტერპრესნიუსი

## საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის ეკონომიკურ გუნდს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის ეკონომიკურ გუნდს შეხვდა.

პრეზიდენტთან შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია, ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ესწრებოდნენ.

პრეზიდენტმა მინისტრებისგან ინფორმაცია მოისმინა და მათ ქვეყანაში მეტი სამუშაო ადგილების შექმნისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაავალა.

ინტერპრესნიუსი

## სახალხო კრების სათათბირო დარბაზის მორიგი შეხვედრა გაიმართება

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დღეს წარმომადგენლობითი სახალხო კრების სათათბირო დარბაზის მორიგი შეხვედრა გაიმართება.

სახალხო კრების პრესსამსახურის ინფორმაციით, სათათბირო დარბაზის სხდომაზე, სხვა განსახილველ საკითხებთან ერთად, მოისმენენ კრების აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2010 წლის 8 დეკემბრის შემდეგ გაწეული სამუშაოს ანგარიშს.

შეგახსენებთ, რომ სათათბირო დარბაზის პირველი სხდომა სწორედ 2010 წლის 8 დეკემბერს გაიმართა.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში, სახალხო წარმომადგენლობითმა კრებამ დედაქალაქის მასშტაბით წინააღმდეგობის 12 კომიტეტი დააფუძნა.

წინააღმდეგობის კომიტეტები დაფუძნდა აგრეთვე თელავში, საგარეჯოში, მცხეთაში, დუშეთში და რუსთავში.

უახლოეს დღეებში სახალხო კრების წინააღმდეგობის კომიტეტები შიდა ქართლის ქალაქებშიც დაფუძნდება.

ინტერპრესნიუსი

## სადაზღვევო სექტორის დარღვევებზე სახელმწიფოს მაინცდამაინც ახლა გააქტიურება გაუგებარია

საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტ მერაბ ჯანიაშვილისათვის გაუგებარია, სადაზღვევო სექტორში 3 წლის განმავლობაში არსებული დარღვევები სახელმწიფოსათვის მაინც და მაინც ახლა რეატომ გახდა ცნობილი და აქტუალური. „მედიანიუსთან“ საუბრისას იგი კონტროლის პალატის აუდიტის წინასწარ მონაცემებს გამოეხმაურა, რომლისდ თანახმადაც, 2008-2010 წლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 284 მილიონი ლარიდან სადაზღვევო კომპანიებმა დაზღვეულთა მომსახურებაზე მხოლოდ 40 პროცენტი დახარჯეს. მერაბ ჯანიაშვილის თქმით, წარმოუდგენელია, რომ კონტროლის პალატის სპეციალურ აუდიტში მონაწილეებს აღნიშნულ ხარვეზებზე აქამდე არაფერი სცოდნოდათ. მისი განმარტებით, არსებობს სადაზღვევო პროგრამის სპეციალური აუდიტი, რომლის ფარგლებშიც, სადაზრვევო კომპანიებს თავიანთი ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენა ყოველთვიურად ევალებათ.

— ფაქტია, რომ არსებულ დარღვევებზე ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებს, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სამინისტროს, აქამდეც უნდა ჰქონოდათ. თუ ჯანდაცვამ ეს არ იცოდა, მაშინ მის მუშაობაში უფრო დიდი ხარვეზებია და კარგი იქნება, ასეთი აუდიტი ამ უწყებაშიც ჩატარდეს, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

ექსპერტისთვის გაუგებარია, რატომ უსვამს ხაზს კონტროლის პალატა სადაზღვევო კომპანიების მოგების მარჟას 60 პროცენტს მაშინ, როცა საქართველოში კომპანიების 90 პროცენტის მოგების მაჩვენებლი ასევე 60 პროცენტია. მეტიც, სახელმწიფომ ამას წინათ აღმოაჩინა, რომ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები 100-პროცენტიან მოგებაზე მუშაობდნენ. ჯანიაშვილი აქვე იმასაც შენიშნავს, რომ ევროპა-ამერიკის ქვეყნებისათვის კომპანიების მოგება 25 პროცენტს არ აღემატება. ექსპერტს ამ ეტაპზე იმის დანამდვილებით თქმა უჭირს, არის თუ არა სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაში არსებულ დარღვევებზე სახელმწიფოს გააქტიურების მიზანი ბიუჯეტის შევსება.

— მოვლენების განვითარებას დაველოდოთ. თუ შესაბამის კომპანიებს ფინანსური სანქციები დაუწესდებათ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მათზე ზეწოლა სწორედ ბიუჯეტში თანხის მობილიზების მიზნით ხდება, — დასძინა ბოლოს მერაბ ჯანიაშვილმა.

მედიანიუსი

# ბაგრატის ტაძრის რენომინაციისთვის დოკუმენტაცია წლის ბოლომდე მომზადდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ფარგლებში, 2011 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელათის მონასტრის რენომინაციისთვის დოკუმენტაციის შექმნა. ქართველი და უცხოელი სპეციალისტები უკვე მუშაობენ დოკუმენტაციის შექმნისთვის. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოწვევით საქართველოში ვიზიტით ცნობილი პროფესორი, არქიტექტორი ანდრეა ბრუნო — ისტორიული ნაგებობებისთვის თანამედროვე მინაშენებითა და მათი ხელახალი გამოყენების ადაპტირების ექსპერტი იმყოფებოდა, რომელმაც გელათისა და ბაგრატის ტაძარი და მცხეთის კომპლექსური ძეგლები მოინახულა.

2010 წელს ბრაზილიაში გამართულ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 34-ე სესიაზე, მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის საკითხების განხილვისას, იუნესკოს შესაბამისმა კომიტეტმა დადებითად შეაფასა ის პროგრესი, რომელიც საქართველოს მხარემ 2009-2010 წელს განახორციელა მცხეთის მონუმენტების დაცვისა და მართვის საქმეში.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის შეფასებით, იმის გამო, რომ ბაგრატის ტაძარი იუნესკოს სიაში შესულია მე-4 კრიტერიუმით (სახელდებულია, როგორც „შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის დიდებული ნიმუში“), ტაძრის რესტავრაცია ეწინააღმდეგება მინიჭებულ სტატუსს, რის გამოც ტაძარზე მიმდინარე სამუშაოების გამო ნანგრევი შევიდა „საფრთხეში მყოფი ძეგლების სიაში“.

ქართულმა მხარემ განმარტა, რომ ძეგლი წარმოადგენს საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს და მის აღდგენას მხარს უჭერს როგორც სახელმწიფო, ასევე საქართველოს ეკლესია. საქართველოს მხარე, ზემოთ აღნიშნული და ძეგლთა დაცვითი პრინციპებიდან გამომდინარე, მზადაა იუნესკოსთან და საერთაშორისო ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 34-ე სესიაზე იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შეთანხმებით, საქართველოს დელეგაციამ (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და საქართველოს ელჩი საფრანგეთსა და იუნესკოში მამუკა კუდავა) გამოთქვა ბაგრატის კათედრალისა და გელათის მონასტრის რენომინაციისთვის დოკუმენტაციის მომზადებისა და განხორციელების სურვილი და მზადყოფნა. კომიტეტზე მოხდა კონკრეტული სამოქმედო პროგრამის შეჯერება, რომელიც 2011 წელს უნდა განხორციელდეს საქართველოსა და იუნესკოს ექსპერტთა ერთობლივი თანამშრომლობის მეშვეობით როგორც მცხეთაში, ასევე იუნესკოს დანარჩენ ძეგლებზე საქართველოში.

ბაგრატის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, აგებული X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მეფობაში, ქუთაისში, „უქიმერიონის გორაზე“ მდებარეობს. თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირსებით ბაგრატის ტაძარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელ ნაწარმოებს. XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებლად იდგა. XIX საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩენილი იყო ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი კარიბჭეები, რასაც მოწმობს მხატვარ ჩერნეცოვის ჩანახატები.

ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. გუმბათი ოთხ მძლავრ ბურჯს ეყრდნობოდა, ჯვრის შვერილი მკლავები გარედან სწორკუთხა, შიგნით კი ნახევარწრიული აფსიდებით იყო დასრულებული. შიგნითვე დასავლეთის მკლავს შემოუყვებოდა პატრონიკე — გალერეა, სადაც წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი და დიდებულები იდგნენ. საკურთხევლის ორსავ მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნე იყო. მშენებლობის დამთავრებამდე ძეგლს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭები მიაშენეს. მდიდარია ტაძრის მორთულობა. ფასადების გასაფორმებლად გამოყენებული დეკორატიული თაღების სისტემა ფასადებს ერთმანეთთან აკავშირებდა. უხვადაა მოჩუქურთმებული კარიბჭეები. სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ფრესკის კვალი — ღვთისმშობლის გამოსახულება. ტაძრის ინტერიერსა და ეზოში აწყვია ქვაზე ნაკვეთი, რელიეფებითა და ორნამენტით შემკული დეტალები და ფრაგმენტები, რომლებიც ტაძრის შიდა კედლებსა და ფასადებს ამშვენებდა.

1952 წლიდან დაიწყო ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოები. პარალელურად მიმდინარეობს ძეგლის მეცნიერული შესწავლა და გამოკვლევა. 1994 წელს ბაგრატის ტაძარი გელათის მონასტერთან ერთად შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. 2009 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო ტაძრის რესტავრაცია, რაც მასზე გუმბათის დადგმით უნდა დასრულდეს, პროექტის მიმდინარეობამ საზოგადოების არაერთგვაროვანი და მძაფრი რეაქცია გამოიწვია. 2010 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ბაგრატის ტაძარი საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში ჩარიცხა — მიზეზი 2009 წელს ტაძარზე დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაო გახდა, რომელიც შენობის ავთენტურობასა და მთლიანობას არღვევს.

როგორც კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ განაცხადა, ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები ჯერჯერობით შეჩერებულია, რადგან ჯერჯერობით კონკრეტული პროექტი არ არსებობს. ბაგრატის ტაძრის მინით შესაძლო გადახურვაზე კი მას ინფორმაცია არ აქვს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, ტაძრის შუშით გადახურვა იგეგმება, თუმცა კულტურის მინისტრმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

ქართული მხარე მოლაპარაკებას იუნესკოს ცნობილ რესტავრატორ ანდრია ბრუნოსთან მართავს. იგი ქუთაისში უკვე იმყოფებოდა და აღსადგენი ობიექტი დაათვალიერა. ანდრია ბრუნო საქართველოდან რამდენიმე დღის წინ წავიდა.

— ანდრია ბრუნო ქუთაისში თავად იმყოფებოდა და ყველაფერს ადგილზე გაეცნო. ჩვენ იუნესკოს წერილი მივწერეთ. მასში გამოხატულია ჩვენი სურვილი, რომ ბაგრატის ტაძრის რესტავრაციით სწორედ ანდრია ბრუნო დაკავდეს. ის „იუნესკოს ყველაზე სერიოზული რესტავრატორია. ეს არის ადამიანი, რომელიც რესტავრაციას მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლებს უტარებს. ამის მაგალითად ავღანეთში თალიბების მიერ აფეთქებულ ბუდას ტაძარს დავასახელებ, რომელიც საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციამდე დაზიანდა, — განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

ანდრია ბრუნოს მიერ აღდგენილ ცნობილ ობიექტებს შორის ერთ-ერთი პარიზის კონსერვატორიაა. იგი ბაგრატის ტაძრის რესტავრაციაზეც თანხმობას გამოთქვამს, რადგან ანდრია ბრუნო ქართული მხარის წინადადებით დაინტერესებულია.

ვინაიდან ქართული უნიკალური ძეგლები ფართო საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, გამოიცა შემეცნებითი ჟურნალი „ძველი ხელოვნება დღეს“. ახლად გამოცემული ჟურნალი ფართოდ მოიცავს და მიმოიხილავს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს ყველა მიმართულებას. ასახავს ქვეყნის ძეგლთა დაცვის სფეროში მიმდინარე უახლესს პროცესებს, ტენდენციებს და უახლეს აღმოჩენებს. სფეროს პროფესიონალების გარდა, „ძველი ხელოვნება დღეს“ საინტერესო აღმოჩნდება ძეგლთა დამცველი და სიძველეთ მოყვარული საზოგადოებისა და უცხოენოვანი მკითხველისთვის (სტატიებს ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმეები).

ვინაიდან საზოგადოებაში ბევრი კითხვა დაგროვდა, 4 თებერვალს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში 2011 წელს განსახორციელებელი პროექტების პრეზენტაცია გაიმართება. ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარე წლის პრიორიტეტებზე ისაუბრებს. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუაც დაესწრება.

# „გალას“ ახალი ნომინაცია დაემატა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, ლიტერატურულ კონკურსს „გალა“ ახალი ნომინაცია „წლის საუკეთესო კინოსცენარი“ დაემატა. ეს ნომინაცია „გალას“ შემქმნელებს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა შესთავაზა და უკვე გამოაცხადა კონკურსის პირობები ამ ნომინაციაში გამარჯვების მსურველთათვის.

როგორც ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი თამარ ტატიშვილი განმარტავს, ამ ნომინაციის დაწესებით კინოდრამატურგებს, მწერლებს მიეცემათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, ლიტერატურული კონკურსი „გალას“ მიერ დაწესებულ ახალ საკონკურსო ნომინაციაში „წლის საუკეთესო კინოსცენარი“.

კონკურსი ტარდება კინოდრამატურგიის დონის ამაღლების, ზოგადად ამ სფეროში მოღვაწე პროფესიონალების წახალისების, მათი პოპულარიზაციის, ახალი სახეების გამოვლენის, წარმატებული პროექტების ხელშეწყობის მიზნით.

საკონკურსო მასალების მიღების ბოლო ვადა 1 ივნისია. კონკურსი ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის. სცენარის ჟანრი და თემატიკა შეუზღუდავია. სცენარი განკუთვნილი იქნება სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის. კონკურსის ორგანიზატორები კი ლიტერატურული კონკურსი „გალა“ და საქართველოს ეროვნული კინოცენტრი არიან.

ლიტერატურული კონკურსი „გალა“ იუბილარია. ის წელს უკვე მეხუთედ ჩატარდება და საუკეთესოებს ექვს ძველ და ერთ ახალ ნომინაციაში გამოავლენს. წლიდან წლამდე ინეტრესი „გალას“ მიმართ იზრდება, როგორც გამომცემლობების, ასევე კონკურენტული ავტორების მხრიდან. ლიტერატურული კონკურსი „გალა“ საკრებულოს თავმჯდომარისა და მწერლის ზაალ სამადაშვილის ინიციატივით 2006 წელს დაარსდა. მისი მიზანი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია, მისი განვითარება და მწერლების სხვადასხვა პრიზებით დასაჩუქრებაა. ამით წიგნის ავტორები ერთგვარ წახალისებას და სტიმულს გრძნობენ იმისთვის, რომ მომავალში კიდევ უფრო ბევრი და საინტერესო, ხარისხიანი წიგნი შექმნან. „გალა“ ყოველი წლის შემოდგომაზე, თბილისობის დღესასწაულზე ტარდება და იგი უკვე მიჩნეულია თბილისობის ინტელექტუალურ ნაწილად.

კონკურსში წარდგენილ წიგნებს ხუთკაციანი ჟიური ეცნობა. ჟიურის შემადგენლობაში კრიტიკოსები, მწერლები, მხატვრები, მთარგმნელები, პუბლიცისტები არიან გაერთიანებული. კონკურსზე წარდგენილი წიგნებიდან საუკეთესოებს სწორედ ისინი არჩევენ.

ლიტერატურული კონკურსი „გალა“ არსებობის ოთხი წლის განმავლობაში საუკეთესოებს აჯილდოვებდა ექვს ნომინაციაში: წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნი, წლის საუკეთესო წიგნი, წლის საუკეთესო თარგმნილი წიგნი, წლის საუკეთესო წიგნი ბავშვებისთვის, წლის საუკეთესო წიგნის მხატვრობა და წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი. წელს ამ ნომინაციებს უკვე წლის საუკეთესო კინოსცენარიც დაემატება და ამ ნომინაციაში გამარჯვებული კი ბრინჯაოს ხანის კოლხური ხელცულის მცირე ზომის ასლითა და ერთჯერადი ფულადი პრემიით 4 ათასი ლარით დაჯილდოვდება.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს. კონკურსში მონაწილე სცენარისტს აქვს არაუმეტეს 2 სცენარის წარდგენის უფლება. ლიტერატურული კონკურსი „გალა“ პრიზს გადასცემს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რუსთაველის თეატრი ქუთაისში წავიდა

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი ქუთაისში საგასტროლოდ გაემგზავრა. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენილი იყო ირაკლი სამსონაძის ორმოქმედებიანი კომედია სახელწოდებით „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი“.

თბილისელ ლიტერატორ გურამს ცოლად მოჰყავს მაია. ახალდაქორწინებულთა ბედნიერებას თითქოს არაფერი ემუქრება, მაგრამ მათ ცხოვრებაში მოულოდნელად შემოიჭრება ამერიკიდან საქართველოში დაბრუნებული სევდიანი უცნობი და ოჯახური სითბო და სიმყუდროვე უკვალოდ გაქრება. დაკარგული სიყვარული და რეალურ-ირეალური ყოველდღიურობა... სულ სხვა ფასეულობანი და მსუბუქი იუმორით გაჯერებული სევდიანი ფინალი... ამბავი უფრო დაწვრილებით ორმოქმედებიან ფანტასმაგორიულ კომედიაშია წარმოდგენილი.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რობერტ სტურუა, რეჟისორი — ანდრო ენუქიძე, მხატვარი — მირიან შველიძე, ქორეოგრაფი — კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე — მარინა ამაღლობელი, სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება კი ია საკანდელიძეს ეკუთვნის. წარმოდგენაში მონაწილეობენ ნინო არსენიშვილი, ზაალ ჩიქობავა, ზაზა პაპუაშვილი, ლელა ალიბეგაშვილი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, ია სუხიტაშვილი და გოგა ბარბაქაძე.


## განცხადებები

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● განგრენის მკურნალობა უნიკალური მცენარეული მალამოთი, თუნდაც იყოს განვითარებული შაქრიანი დიაბეტის ფონზე. შედეგი გასაოცარია. ტელ: 893-63-92-99.

● იმპოტენციის, სქესობრივი ლტოლვის მომატების, პროსტატიტის მკურნალობა კონფიდენციალურია, მცენარეული პრეპარატებით, უსაფრთხოებისა და ხარისხის გარანტიით. ტელ: 893-63-92-99; 899-65-43-66.

ნათელმხილველი
მანანა
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.
მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.
ტელ: 897-29-27-50.








მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# „არმიამ“ თასი ჩაიბარა

**შსს — არმია 51:71**

**(6:17, 17:15, 19:22, 1§:16**

**შსს:** ლაფანაშვილი (9), ლეჟავა (15), ნიკოლაძე (6), კოტონი (8), მარკოიშვილი, ტუჯანი (2ქ, 8მ), დ.ბარბაქაძე (5), შერმადინი, წივწივაძე (4), ტომარაძე (2)

**არმია:** ბაბიაშვილი (9), ბოისა (11ქ, 7მ), ბ.ბერიშვილი (15ქ, 7მ), ტულუში (8), პირველაშვილი (2), მოსეშვილი (5), საყვარელიძე (2), შარაბიძე (17ქ, 16მ)

ლევან მოსეშვილის გაწვრთნილმა „არმიამ“ თავისი პირველი ტიტული მოიპოვა. როგორც იცით, ეს გუნდი მიმდინარე სეზონის დაწყების წინ შეიქმნა და რამდენიმე ძლიერი კალათბურთელით შეივსო, ამიტომაც მათგან თასის მოგება გასაკვირიც არ იყო, მაგრამ არც ასეთ იოლ გამარჯვებას ელოდა ვინმე.

ფინალურ მატჩს დიდი ინეტრესი ახლდა. კიდევ ერთხელ შეივსო თბილისის სპორტის სასახლე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ტრიბუნებზე ბევრი ძალით მიყვანილი ადამიანი იჯდა, რომლებიც საკალათბურთო ნიუანსებში ძნელად ერკვეოდნენ.

ჰო, მატჩის წინა დღეს შეიცვალა მსაჯიც — თასის ფინალზე დანიშნულ ზაზა მაჩალაძეს ნახევარფინალური „ცოდვები“ ამოუქექეს და ფინალური მატჩის მსაჯობიდან მოხსნეს.

სავსე ტრიბუნების წინ ისეთი თვალსასეირო მატჩი ნამდვილად არ გამართულა, როგორც სპეციალისტები ელოდნენ. შსს-მ პირველ მეოთხედში მხოლოდ 6 ქულის მოგროვება მოახერხა. ამის გამოც იყო, რომ „არმია“ თავიდანვე დაწინაურდა და მთელი მატჩის განმავლობაში სოლიდური უპირატესობით ლიდერობდა.

პირველი მეოთხედი არმიელებმა 18:6 მოიგეს. „ძალოვნები“ ამის შემდეგ შეეცადნენ სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ დიდი შესვენების წინ სხვაობა 3 ქულით შეამცირეს — 33:24 არმიელთა სასარგებლოდ.

დიდი შესვენების შემდეგ შსს-მ სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ინტრიგა მაინც არ შენარჩუნდა — ბუბა ბერიშვილმა, ანატოლი ბოისამ და გიორგი შარბიძემ „არმიას“ მიყოლებით შესძინეს ქულები და დასკვნითი მეოთხედის წინ მათმა უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა — 55:34.

მატჩმა აზრი დაკარგა. ბოლო მეოთხედში გუნდები უფრო ინერციით თამაშობდნენ და რაც უფრო იწურებოდა დრო, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ „არმია“ თავის პირველ ტიტულს მოიპოვებდა.




ფინალის საუკეთესო მოთამაშედ არმიელთა ახალწაევეული ბუბბა ბერიშვილი დაასახელეს, რომელსაც სპეციალური პრიზი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა გადასცა. ასევე ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე მეორე ახალწვეული გიორგი შარაბიძე, რომელსაც კლუბ „სოხუმის“ მიერ დაწესებული პრიზი მატჩის საუკეთესო ბომბარდირობისთვის გადაეცა.

მატჩის შემდეგ მცირე კომენტარი გააკეთა გამარჯვებული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა.

— მართალია, გამარჯვებას ვგეგმავდით, მაგრამ ასე იოლად თუ მოვიპოვებდით, ნამდვილად არ გვეგონა. განსაკუთრებით კარგად ვითამაშეთ დაცვაში და შედეგიც სახეზეა. ბოლო დროს ხშირად საუბრობენ, რომ „არმია“ ევროტურნირებზე ითამაშებს. გეტყვით, რომ ამაზე საუბარი ნამდვილად არის, მაგრამ ამ შემადგენლობით, ნამდვილად გაგვიჭირდება. თუ ევროტურნირებზე თამაშს გადავწყვეტთ, გუნდის გაძლიერებაზე ფიქრი მოგვიწევს, — აღნიშნა მოსეშვილმა.

# საქართველოს ნაკრები ერთა თასისთვის ემზადება

5 თებერვალს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალ სეზონს იწყებს. ერთა თასის გათამაშების პირველ მატჩში ჩვენები უკრაინელებს დაუხვდებიან. კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი ჩვენების მეტოქე ესპანეთის ნაკრები იქნება.

ცხადია, არც ერთი მათგანი სარაგბო გრანდებს არ მიეკუთვნებიან, ამიტომაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა რიჩი დიქსონმა ამ მატჩებისთვის ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიძახა. დიქსონის მიერ შერჩეულ 23 მორაგბეში, 2 ისეთი მათგანია, რომელთაც სანაკრებო კვართი აქამდე არ მოურგია, ხოლო ბევრია ისეთი, რომელთაც ნაკრებში იშვიათად უთამაშია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დიქსონი ამ მატჩებისთვის ისეთ მორაგბეებს ცდის, რომელიც შესაძლოა, მსოფლიოს თასზეც იახლოს.

დებიუტანტებს დიქსონი ისეთ პოზიციებზე ცდის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია ნაკრებში. 23 წლის ვასილ მაისურაძე მეორეხაზელია და საფრანგეთში თამაშობს, თუმცა, ფედერალ 1-ში. მისი გუნდი ელიტაში ასასაზევებლად იბრძვის.

20 წლის არის ბექა ურჯუკაშვილი, რომელიც ასევე ფედერალ 1-ის გუნდის წარმომადგენელია. ურჯუკაშვილი 15 ნომრის პოზიციაზე თამაშობს.

სანაკრებო გამოცდილება აქვთ, მაგრამ ჯერ მხოლოდ კანდიდატებად მოიაზრებიან ანტონ ფეიქრიშვილი, შალვა სუთიაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე და ვასილ კაკოვინი. სწორედ ამ მატჩებში უნდა დაამტკიცონ, რომ კანდიდატები კი არა, ღირსეული წევრები არიან.

გამოძახებულთა შორის არ ფიგურირებს გუნდის ერთ-ერთი უდავო ლიდერი მამუკა გორგოძე. მას შარშან მთელი წელი დისკვალაიფიკაციების გამო გაუცდა, ახლა კი სეზონს ტრავმით იწყებს. ასევე არ არიან გამოძახებული გამოცდილი მოთამაშეები — გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე და დავით ქუბრიაშვილი.

**ნაკრების სრული სია ასეთია:**

დავით ხინჩაგაშვილი (ბრივი, საფრანგეთი, 31 კეპი, 15 ქულა), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი, საფრანგეთი, 6), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა, რუმინეთი, 29, 10), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი-ყოჩები, 8), ვასილ კაკოვინი (ბრივი, საფრანგეთი, 8), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი, 24, 25) ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი, 37, 10), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი, 15, 5), გრიგოლ ლაბაძე (მარსეი ვტროლი, საფრანგეთი, 62, 55), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი, 43, 25), ბესო უდესიანი (მაკონი, საფრანგეთი, 41,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# სატრანსფერო ზამთრის ცხელი მოვლენები

2011 წლის ზამთარი ევროპული საფეხბურთო ქვეყნების გუნდებისთვის ცხელი გამოდგა. გუნდები მათთავის საჭირო ფეხბურთელებს დიდხანს არჩევდნენ და საბოლოოდ, ხმაურიანი ტრანსფერებეც გაიჩარხა.

გვინდა შემოგთავაზოთ ამ ტრანსფერების ტოპ-ატეული, მაგრამ ისინი არა ფასის, არამედ ძალის მიხედვით დავაწყვეთ.

**1. ფერნანდო ტორესი, „ლივერპული“ — „ჩელსი“, 57,7 მილიონი ევრო**

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის „ლივერპულიდან“ „ჩელსიში“ გადასვლა გახდა ზამთრის სატრანსფერო ბაზრის „ბომბა“. ჯერ ინგლისში არავის გადაუხდია იმდენი თანხა, რამდენიც ესპანელ ბომბარდირში გადაიხადეს. მეტიც, ჯერ არც ერთ ესპანელ ფეხბურთელში ამდენი თანხა არ გადაუხდიათ. ცხადია, თუ ტორესი ისეთი რეგულარული ხასიათით არ მიიღებს ტრავმებს, როგორც ამას „ლივერპულში“ იღებდა, ნათელია, რომ „ჩელსიმ“ სერიოზული ინვესტიციები ჩადო ესპანელში. ტორესი ჯერ 26 წლის არის, მაშინ, როდესაც დიდიე დროგბა და ნიკოლა ანელკა დიდი ხანია გადასცდნენ 30-ს. ამასთან, ტორესს ინგლისის პრემიერლიგაში თამაშის საკმაო გამოცდილებაც აქვს.

ჰო, ლივერპულელმა გულშემატკივრებმა ვერ მოიწონეს ტორესის საქციელი და უჩებში მისი მაისურები დაწვეს.

**2. ედინ ჯეკო, „ვოლფსბურგი“ — „სიტი“, 32 მილიონი ევრო**

თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა ჯეკოს „ვოფსბურგიდან“ წასვლის ეპოპეა. თავდაპირველად მისი გადაბირება ტურინის „იუვენტუსს“ უნდოდა, მაგრამ „სიტის“ მეპატრონის სქელმა საფულემ თავისი გაიტანა. ჯეკო რომ მაღალი კლასის ფეხბურთელი, ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს, მაგრამ საკითხავია, სჯობს კი ის ემანუელ ადებაიორს, რომელიც „სიტიმ“ მადრიდის „რეალში“ გაანათხოვრა? აქ გემოვნებაზე არ არის საუბარი, უბრალოდ სიტელთა მწვრთნელი რობერტო მანჩინი ვერ შეეწყო ტოგოელ ფეხბურთელს და იძულებული გახდა ახალი და გუნდისთვის საჭირო თავდამსხმელი მოეძებნა.

**3. ლუის სუარესი, „აიაქსი“ — „ლივერპული“, 25,5 მილიონი ევრო**

სად არ „ამოგზაურეს“ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ურუგვაელი თავდამსხმელი, მაგრამ ბოლოს „ლივერპულში“ აღმოჩნდა, რომელიც ბოლო 2 წელი ძნელად თუ შეიძლება მივაკუთვნოთ ტოპ-კლუბებს. თუმცა, მერსისაიდელთა ახალი მწვრთნელი კენი დაგლიშის ახალი გუნდის აწყობას სწორედ სუარესზე გეგმავს. მისი ფასი კი ნამდვილად ადეკვატურია ფეხბურთელის შესაძლებლობების.

**4. ენდი კეროლი, „ნიუკასლი“ — „ლივერპული“, 41 მილიონი ევრო**

ლივერპულელთა კიდევ ერთი შენაძენი. მარალი ინგლისელი იდეალური წყვილი უნდა გახდეს ლუის სუარესთან. თუ ეს წყვილი საერთო ენას გამონახავს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დუეტი იქნება თანამედროვე ფეხბურთში. ერთია, ახალგაზრდა ფეხბურთელის ასეთი ფასი ცოტა არ იყოს გაოცებას იწვევს, რადგან ფეხბურთელი ახლა იდგამს ფეხს დიდი ფეხბურთში. ალბათ, მისი ტალანტი კარგად ჩანს და „ლივერპულმა“ დროულად მოასწრო სხვა ინგლისელ ჯიბესქელ კლუბებს.

**5. დავიდ ლუისი, „ბენფიკა“ — „ჩელსი“, 25 მილიონი ევრო**

დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა ლონდონური კლუბი ხელში ჩაეგდო ბრაზილიელი მცველი. „ჩელსის“ მცველების ტრავმატიზმი კარგად არის ცნობილი და ამიტომაც სურდა ამ პოზიციის გაძლიერება. მართალია, 25 მილიონი ევრო ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება, მაგრამ ლუისი ჯერ ახალგაზრდაა და დიდი შანსი აქვს კიდევ უფრო მოუმატოს თამაშს. ექსპერტების აზრით, ლუისი 1-2 წელიწადში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი გახდება.

**6. ანტონიო კასანი, „სამპდორია“ — „მილანი“, სატრანსფერო ფასი არ ხმაურდება**

რონალდიონიოს გაშვების შემდეგ მილანელებმა შეიძინეს ფეხბურთელი, რომელიც ღირსეულად შეცვლის ბრაზილიელს. თავისი ნიჭით, კასანოს ხშირად აყენებენ ფრანჩესკო ტოტისა თუ ალექს დელ პიეროს გვერდით. უკვე პირველ მატჩებშიც დაამტკიცა, რომ თავისუფლად შეუძლია „მილანისთვის“ სარგებლის მოტანა. მალე გამონახა საერთო ენა ზლატან იბრაჰიმოვიჩთან. თუ კასანო არ გააგრძელებს თავისებურ გამოხტომებს და ენასაც ხშირად დააჭერს კბილს, შეუძლია ბოლომდე გაიხსნას.

**§. ჯანპაოლო პაცინი, „სამპდორია“ — „ინტერი“, 12 მილიონი ევრო**

ყველა გუნდში, სადაც კი პაცინის უთამაშია, ბევრი გაჰქონდა, თუმცა, მანამდე ტოპ-გუნდებში არასდროს უთამაშია და ცნობილი არ არის, როგორ იგრძნობს თავს ვარსკვლავებში. თუმცა, პირველივე მატჩში „ინტერმა“ სწორედ მისი გოლებით მოიგო და დაამტკიცა, რომ ის ფეხბურთელია, რომელიც ლეონარდოს ასე სჭირდებოდა. საინტერესო იქნება, თუ როგორ განაწილდება როლები პაცინის, ეტოოსა და დიეგო მილიტოს შორის. ლეონარდო 3 თავდამსხმელით სავარაუდოდ არ ითამაშებს და რომელიმე მათგანს სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ყოფნა.

**7. დარენ ბენტი, „სანდერლენდი“ — „ასტონ ვილა“, 22 მილიონი ევრო**

ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთმა ყველაზე სტაბილურმა ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ შეიცვალა ჩაწერის ადგილი. ამასთან, მისით დაინტერესება არა ლიდერმა გუნდემა, არამედ აუტსაიდერებში მყოფმა „ასტონ ვილამ“ გამოხატა. ამის მიუხედავად, ბენტმა მაინც გადადგა ნაბიჯი. როგორც ჩანს, ჟერარ ულიემ სწორი ფსონი გააკეთა და ჯონ კარეულ „სტოკში“ გაანათხოვრა.

**8. პატრიკ ჰელმესი, „ლევერკუზენი“ — „ვოლფსბურგი“, 7 მილიონი ევრო**

გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ბოლო დროს ჩაკარგული იყო, ამიტომ „ლევერკუზენს“ მისი გაშვება გადაწყვეტილი ჰქონდა. ჰელმესის გადაბირება ბევრ კლუბს სურდა, მაგრამ ედინ ჯეკოს გაშვების შემდეგ მისით ყველაზე მეტად „ვოლფსბურგი“ დაინტერესდა და სანამ ხელთ არ იგდო, მანამდე ვერ მოისვენა.

**19. ემანუელ ადებაიორი, „სიტი“ — „რეალი“, იჯარა**

ჟოზე მოურინიო და ხორხე ვალდანო არგენტინელი გონსალო იგუაინის ტრავმის შემდეგ საფეხბურთო ბაზარზე დიდხანს ეძებდა ახალ თავდამსხმელს. თავდაპირველად „ჰამბურგიდან“ რუუდ ვან ნისტელროის გადაბირებაც კი სურდათ, მაგრამ საბოლოო არჩევანი ადებაიორზე შეაჩერეს. თუ ტოგოელი დროულად აღიდგენს ფორმას, მაშინ არ უნდა გაუჭირდეს მადრიდელთა ერთადერთი ფორვარდის, ქარიმ ბენზემას შემადგენლობიდან ამოგდება, რადგან ფრანგი ფეხბურთელის მიმართ უკვე საკმაოდ დაგროვდა პრეტენზიები. ადებაიორი რომ ითამაშებს, ფაქტია, მაგრამ შეძლებს ისევე წარმოაჩინოს თავი, როგორც ეს თავის დროზე „არსენალში“ მოახერხა?

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ევერტონი | 2:1 |
| სანდერლენდი-ჩელსი | 2:4 |
| ვესტ ბრომვიჩი-უიგანი | 2:2 |
| მანჩესტერი-ასტონ ვილა | 3:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 24 | 15 | 9 | 0 | 54:22 | 54 |
| 2.არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 50:23 | 49 |
| 3.სიტი | 24 | 13 | 6 | 5 | 37:20 | 45 |
| 4.ჩელსი | 24 | 13 | 5 | 6 | 46:21 | 44 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 10 | 8 | 5 | 32:26 | 38 |
| 6.სანდერლენდი | 25 | 9 | 10 | 6 | 30:28 | 37 |
| 7.ლივერპული | 24 | 9 | 5 | 10 | 31:31 | 32 |
| 8.ბლექბერნი | 24 | 9 | 4 | 11 | 31:37 | 31 |
| 9.ნიუკასლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36:33 | 30 |
| 10.სტოკი | 23 | 9 | 3 | 11 | 28:28 | 30 |
| 11.ბოლტონი | 24 | 7 | 9 | 8 | 34:35 | 30 |
| 12.ბლექპული | 23 | 8 | 4 | 11 | 34:41 | 28 |
| 13.ას. ვილა | 25 | 7 | 7 | 11 | 28:43 | 28 |
| 14.ევერტონი | 24 | 5 | 12 | 7 | 28:31 | 27 |
| 15.ფულემი | 24 | 5 | 11 | 8 | 25:26 | 26 |
| 16.ვესტ ბრომ. | 24 | 7 | 5 | 12 | 31:45 | 26 |
| 17.ბირმინგემი | 22 | 4 | 11 | 7 | 21:31 | 23 |
| 18.უიგანი | 24/ | 4 | 11 | 9 | 22:38 | 23 |
| 19.ვულვზი | 23 | 6 | 3 | 14 | 24:41 | 21 |
| 20.ვესტ ჰემი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:43 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-პრესტონი | 2:0 |
| ბრისტოლი-სუონსი | 0:2 |
| დერბი-იფსვიჩი | 1:2 |
| დონკასტერი-ბარნლი | 1:0 |
| კარდიფი-რედინგი | 2:2 |
| ქოვენთრი-ნოტინგემი | 1:2 |
| მიდლსბრო-სკანთორპი | 2:0 |
| ნორვიჩი-მილუოლი | 2:1 |
| უოტფორდი-კრ.პალასი | 1:1 |
| ჰალი-ლიდსი | 2:2 |
| შეფილდი-ლესტერი | 0:1 |
| ქპრ-პორთსმუთი | 2:0 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| მილანი-ლაციო | 0:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39:18 | 48 |
| 2.ნაპოლი | 22 | 13 | 4 | 5 | 36:20 | 43 |
| 3.ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29:21 | 41 |
| 4.ინტერი | 21 | 11 | 5 | 5 | 36:24 | 38 |
| 5.რომა | 21 | 11 | 5 | 5 | 31:24 | 38 |
| 6.უდინეზე | 22 | 11 | 3 | 8 | 36:29 | 36 |
| 7.იუვენტუსი | 22 | 9 | 8 | 5 | 36:27 | 35 |
| 8.პალერმო | 22 | 11 | 4 | 7 | 36:28 | 34 |
| 9.კალიარი | 22 | 8 | 5 | 9 | 26:23 | 29 |
| 10.კიევო | 22 | 6 | 9 | 7 | 23:22 | 27 |
| 11.სამპდორია | 22 | 6 | 9 | 6 | 20:22 | 27 |
| 12.ჯენოა | 21 | 7 | 6 | 8 | 18:20 | 27 |
| 13.ფიორენტინა | 21 | 6 | 7 | 8 | 21:23 | 25 |
| 14.ბოლონია | 21 | 7 | 7 | 7 | 23:29 | 25 |
| 15.პარმა | 22 | 6 | 7 | 9 | 22:28 | 25 |
| 16.კატანია | 22 | 5 | 7 | 10 | 18:29 | 22 |
| 17.ლეჩე | 22 | 5 | 6 | 11 | 21:39 | 21 |
| 18.ჩეზენა | 22 | 5 | 5 | 12 | 16:28 | 20 |
| 19.ბრეშა | 22 | 5 | 3 | 14 | 17:30 | 18 |
| 20.ბარი | 22 | 3 | 5 | 14 | 14:34 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-ფრანკფურტი | 3:1 |

**საფრანგეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ანჟე-სტრასბურგი | 2:0 |
| ლორიენი-მეცი | 3:0 |
| რენი-რეიმსი | 3:4(დდ) |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრააფსხაპი-უტრეხტი | 0:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 21 | 14 | 5 | 2 | 58:20 | 47 |
| 2.ტვენტე | 21 | 14 | 4 | 3 | 44:23 | 46 |
| 3.აიაქსი | 21 | 12 | 5 | 4 | 42:20 | 41 |
| 4.გრონინგენი | 21 | 12 | 4 | 5 | 42:27 | 40 |
| 5.ალკმაარი | 21 | 10 | 7 | 4 | 33:21 | 37 |
| 6.როდა | 21 | 9 | 8 | 4 | 37:29 | 35 |
| 7.დენ ჰააგი | 21 | 10 | 5 | 6 | 39:32 | 35 |
| 8.უტრეხტი | 21 | 10 | 3 | 8 | 35:27 | 33 |
| 9.ჰერენვენი | 21 | 8 | 6 | 7 | 42:33 | 30 |
| 10.ბრედა | 21 | 9 | 4 | 8 | 31:33 | 30 |
| 11.ნაიმეგენი | 21 | 6 | 8 | 7 | 36:38 | 26 |
| 12.გრააფსხაპი | 21 | 6 | 7 | 8 | 22:37 | 25 |
| 13.ერაკლესი | 21 | 5 | 6 | 10 | 31:40 | 21 |
| 14.ვიტესი | 21 | 5 | 6 | 10 | 26:36 | 21 |
| 15.ფეიენოორ. | 21 | 5 | 5 | 11 | 24:38 | 20 |
| 16.ექსელსი. | 21 | 4 | 4 | 13 | 23:44 | 16 |
| 17.ვენლო | 21 | 3 | 1 | 17 | 19:51 | 10 |
| 18.ტილბურგი | 21 | 1 | 4 | 16 | 18:53 | 7 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| აბერდინი-სელტიკი | 0:3 |
| სტ.ჯონსონი-ჰამილტონი | 2:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 24 | 18 | 4 | 2 | 53:14 | 58 |
| 2.რეინჯერსი | 21 | 16 | 2 | 3 | 46:20 | 50 |
| 3.ჰართსი | 23 | 15 | 3 | 5 | 37:20 | 48 |
| 4.კილმანროკი | 23 | 9 | 6 | 8 | 36:26 | 33 |
| 5.ინვერნესი | 24 | 7 | 8 | 9 | 31:30 | 29 |
| 6.დანდი | 20 | 7 | 8 | 5 | 25:25 | 29 |
| 7.სტ.ჯონსონი | 24 | 8 | 5 | 11 | 17:28 | 29 |
| 8.მოზერველი | 22 | 8 | 4 | 10 | 26:26 | 28 |
| 9.აბერდინი | 23 | 7 | 2 | 14 | 23:42 | 23 |
| 10.სტ.მირენი | 22 | 4 | 6 | 12 | 18:36 | 18 |
| 11.ჰიბერნიანი | 23 | 4 | 4 | 15 | 21:42 | 16 |
| 12.ჰამილტონი | 22 | 2 | 8 | 12 | 14:39 | 14 |

**ფინეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ჰიკი-ჰონკა | 1:1 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ნიუ | 97:89 |
| პორტლენდი-სან ანტონიო | 99:86 |
| საკრამენტო-ბოსტონი | 90:95 |
| ლეიკერსი-ჰიუსტონი | 114:106 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-აილენდერსი | 1:4 |
| კაროლინა-ბოსტონი | 2:3 |
| კოლამბუსი-ჩიკაგო | 4:7 |
| ნიუ ჯერსი-ოტავა | 2:1 |
| ტორონტო-ფლორიდა | 3:3(1:0ბ) |
| ვაშინგტონი-მონრეალი | 2:2(0:1ბ) |
| რეინჯერსი-პიტსბურგი | 3:3(0:1ბ) |
| ტამპა ბეი-ფილადელფია | 4:0 |
| მინესოტა-ლოს ანჯელესი | 0:0(1:0ბ) |
| ნეშვილი-კალგარი | 2:2(0:1ბ) |
| დალასი-ვანკუვერი | 1:4 |
| სან ხოსე-ფინიქსი | 5:3 |

მოამზადა მიხეილ ყორღოლიანმა

# „გალას“ ახალი ნომინაცია დაემატა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ერთი სცენარის ავტორ(ებ)ს. რამდენიმე ავტორის შემთხვევაში პრიზი ავტორებს შორის ნაწილდება. საკონკურსო სცენარები კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში შევა. ეროვნული კინოცენტრის შიდა კომისია განიხილავს სცენარებს და შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე მოახდენს პირველად სელექციას. პირველადი სელექციის შედეგად შერჩეული სცენარები კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებაა და გადასინჯვას არ ექვემდებარება. კინოცენტრის შიდა კომისიის მიერ შერჩეული სცენარები გადაეცემა ლიტერატურული კონკურსის „გალას“ კომისიას. ნომინანტებს და საბოლოო გამარჯვებულს ლიტერატურული კონკურსის „გალას“ კომისია დაასახელებს.

**თამარ ტატიშვილი, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი:**

— ნომინაცია „წლის საუკეთესო კინოსცენარი“ ლიტერატურულ კონკურსზე „გალა“ წელს პირველად გაჩნდა. კინოში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ სცენარია. მასზე იგება ფილმის შექმნის რთული კინოპროცესი. ჩვენ გვინდა გამოვავლინოთ რაც შეიძლება მეტი კარგი და ხარისხიანი სცენარი, რაც შემდეგ მოგვცემს საშუალებას, ვნახოთ, ვინ არიან ახალი სახეები ქართულ კინოსივრცეში.

# ეროვნული და რუსთაველის პრემიებისთვის კონკურსმა სტარტი აიღო

დასაწყისი მე-7 გვერდზე

კომისია უფლებამოსილია ცალკეულ საკითხთა შესწავლის, ასევე წარმოდგენილ ნამუშევართა (ნაწარმოებთა) რეცენზირებისა და ექსპერტიზის მიზნით შექმნას ქვეკომისიები, რომლებიც კომისიისათვის ამზადებენ საექსპერტო დასკვნას. კომისია შეარჩევს შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების ლაურეატობის კანდიდატებს. კონკურსის საბოლოო შედეგების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და პრემიების ლაურეატთა სიას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საკონკურსო განაცხადები და მასალები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მარტამდე მიიღება. კონკურსის საბოლოო შედეგები და ლაურეატთა სია კი 26 მაისს გამოქვეყნდება.

# საქართველოს ნაკრები ერთა თასისთვის ემზადება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

70), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი, 26, 30), ბიძინა სამხარაძე (სტიაუა, რუმინეთი, 51, 20), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი, 68, 30), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი, 27, 87), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი, 47, 218), ლექსო გუგავა (ლელო, 15, 10), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი, 38, 35), ირაკლი გიორგაძე (შამბერი, საფრანგეთი, 40, 16), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი, 52, 65), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი, საფრანგეთი, 43, 80), ბესიკ ხამაშურიძე (აია, 54, 60), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი, საფრანგეთი), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი).

გეტყვით იმასაც, რომ ერთა თასის გათამაშება ახლებურად ჩატარდება. თითოეული მოგება უკვე 4 ქულა ფასობს, ხოლო ფრე — 2. თუმცა, გუნდებს შეუძლიათ დამატებითი ბონუს-ქულები მიიღონ. კერძოდ, 4 და მეტი ლელოს გატანისთვის და აგრეთვე 7 და ნაკლები ქულით დამარცხებისთვის, გუნდები თითო პრემიალურ ქულას მიიღებენ. ეს ფაქტი კიდევ უფრო მოტივირებულს ხდის ერთა თასის გათამაშებას.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველო-უკრაინა 5 თებერვალს, ხოლო საქართველო-ესპანეთი 12 თებერვალს გაიმართება. ორივე მატჩს „მიხეილ მესხი“ უმასპინძლებს და მატჩები 15 საათზე დაიწყება.

# მოლის ყვირილი მთელ აჭარაში ისმის

გულიკო ბალა ე

**მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე ვაჟა ადამია ამბობს, რომ ოპონენტები ცდებიან, როცა სააკაშვილს გიჟს უწოდებენ. მისი თქმით, სააკაშვილი გიჟი არ არის. ასე რომ იყოს, ერთხელ ჩვენს სასარგებლოდაც შეეშლებოდა.**

ამასთან, ვაჟა ადამიას თქმით, სააკაშვილმა თავისი შეცდომების გამოსწორება დაიწყო.

კერძოდ, ვაჟა ადამია ამბობს, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები ეკლესიებს აღარ ანგრევენ, რაც დიდი დანაშაული იყო.

***— ბატონო ვაჟა, „ვიკილიქსის“ მასალებში გახმოვანდა, ამერიკის ელჩი ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ სააკაშვილი „დიდ საქმეებს“ ეჭიდება. ე.ი. სააკაშვილი იმას არ აკეთებს, რაც მან რეალურად უნდა აკეთოს თავისი ქვეყნისთვის და ეძებს ისეთ საქმეებს, რაც გახმაურდება და მას გამოაჩენს.***

— სააკაშვილის ოპონენტები იმთავითვე უშვებდნენ შეცდომას, როცა მას გიჟს უწოდებდნენ და ათასგვარი ეპითეტებით ამკობდნენ. ბაბუამისი ელიზბარ ჯაველიძეც კი გიჟს და კიდევ რას არ უწოდებს. მე მათ არც ერთს არ ვეთანხმები. თუ სააკაშვილი გიჟია, რატომ ეშლება ყოველთვის თავის სასარგებლოდ და რატომ ერთხელ ჩვენს სასარგებლოდ არ შეეშალა? შეურაცხადს ერთხელ შენს სასარგებლოდაც უნდა შეეშალოს. ეს ხუმრობით. სერიოზულად თუ ვისაუბრებთ, როგორც ყოფილი ექიმი, რომელმაც ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემა შეისწავლა, გეტყვით, რომ სააკაშვილი მიეკუთვნება ძლიერ, მოძრავ, გაუწონასწორებელ, ანუ ქოლერიკულ ტიპს. ამ ტიპის ნერვული სისტემის ადამიანებს ახასიათებთ სპონტანური მოქმედება. ისინი ძლიერი არიან, მოძრავი, მაგრამ უამრავ შეცდომას უშვებენ იმიტომ, რომ მუდმივად ჩქარობენ. თუმცა, ძლიერი რადგან არიან, უბრუნდებიან და შემდეგ იმ თავის შეცდომებს ასწორებენ. მაგრამ ჩვენ გვღლიან, გვქანცავენ.

***— დაშვებული შეცდომებიდან სააკაშვილმა რა გამოასწორა?***

— ეკლესიებს აღარ ანგრევენ...

***— იცით, ბატონო ვაჟა, აჭარაში, ფერიის მთაზე ეკლესია რომ დაანგრია, ეს დიდი დანაშაული იყო. მას შემდეგ ცუდი ტენდენცია განვითარდა — ჯამეები გამრავლდა. აჭარაში ქართველი კაცი ეკლესიას რომ აშენებს, შენ კი იმას დაუნგრევ, ასეთი დანაშაულის გამოსწორება შეუძლებელია. ასეთი ქმედებები ადამიანების ცნობიერებაში აღიბეჭდება.***

— აჭარაში დაბადებული არ ვარ, მაგრამ გაზრდილი იქ ვარ. პირველი კლასი ხულოში მაქვს დამთავრებული, ალმეში. ასე რომ, იქაურობა მე ძალიან კარგად ვიცი. სხალთის მონასტერი რომ არის, იქ დაგდებულ ფოთოლს ვერ ნახავს კაცი, ყველაზე მწარე მაჰმადიანი აჭარლები სხვა აჭარლებთან შედარებით სხალთის ხეობაში ცხოვრობენ.

***— ახლა აღარ იქნებიან „მწარე მაჰმადიანები“...***

— მაგრამ შეხვედრების დროს მათთვისაც ხუმრობით მითქვამს, თქვენ რა მაჰმადიანები ხართ-მეთქი. რატომო? თითო ცოლი რომ გყავთ, რატომ ექვსი არ გყავთ-მეთქი. მათი ადათ-წესები ქართულია, ქრისტიანულია. ისინიც მპასუხობდნენ, ერთი ცოლისთვის ვერ მოგვივლია, ახლა სამ-სამი გვავლებიეო. ტერმინი „მწარე მუსლიმანები“ განგებ ვიხმარე. ეს „მწარე მაჰმადიანები“ სხალთის მონასტრის ეზოში დაგდებულ ფოთოლს არ გააჩერებენ, ისე უვლიან იმ მონასტერს. ის მაჰმადიანები უვლიან, რომლებმაც ძალიან კარგად იციან ისტორია, გუშინ და გუშინწინ მათი წინაპრები სხალთის მონასტერში იყვნენ და ლოცულობდნენ. შუაგულ ხულოში ეკლესიის ძველი ნაფუძარი ნახეს და ახალი ეკლესია ააგეს... მარტო სააკაშვილს არ ვადანაშაულებ. რასაკვირველია, ეკლესიის დანგრევა, ან რაც გლდანში გააკეთეს, მანქანა რომ დაააჯახეს და ეკლესიის კარები შეანგრიეს, ამაზე მეტი სიმდაბლე მე აღარ ვიცი, რა შეიძლება იყოს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბიჭები გონს მოვიდნენ და მიხვდნენ, რომ ასე აღარ შეიძლება. მე პრეტენზია მაქვს პატრიარქთან და საპატრიარქოსთან. ძალიან სერიოზული პრეტენზია მაქვს...

***— რა პრეტენზია გაქვთ?***

— პატრიარქი რომ ავიდოდა სხალთაში, ასეულობით აჭარელი ინათლებოდა.

***— მახსოვს...***

— მერე შეწყვიტა იქ სიარული. ბოლო წლებში მას ჯანმრთელობა ხელს აღარ უწყობს და ვერ დავაძალებ. პროფესიით ექიმი ვარ და ვიცი, რომ ბარიდან მთაში რომ ავა ხანში შესული კაცი, ათასი გართულება შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ მე ადრინდელზე ვამბობ. როგორც კი დიდი გამოხმაურება ჰპოვა პატრირქის იქ ვიზიტებმა — ლამის მთელი აჭარა ქრისტიანობაზე მოექცა — მაშინ პატრიარქმა რატომღაც შეწყვიტა აჭარაში ვიზიტები.

***— 1989 წელს პატრიარქი პირველად რომ იმყოფებოდა აჭარაში, მახსოვს, მთელი ხალხი ტიროდა...***

— რატომ ხდება ასეთი უცნაური ამბები...

***— სულიერი ერთიანობის გამოხატულება იყო. მე მაინც მგონია, რომ ეს პროცესი გადატრიალების შემდეგ დაბრკოლდა. აჭარაში ჯერ არ გამეგონა მოლის ყვირილი, პირველად 1992 წელს ბათუმში გავიგონე, ქუჩაში რომ მივდიოდი. ახლა ზემოთ სოფლებშიც იმხელა ხმაზე აყვირებენ მოლას, რომ პირდაპირ ამაზრზენია. ლოცვას არავინ უშლის, ყველას შეუძლია თავისთვის ილოცოს. არავის აქვს უფლება სხვა შეაწუხოს, მაგრამ ამის უფლებას მათ ხელისუფლება აძლევს.***

— ჩვენ უხამსი გამოსვლები გვაქვს ნებისმიერი სექტის წინააღმდეგ, რომელიც კი საქართველოში შემოსულა. თუნდაც ეს იყოს იეღოველები...

***— მაგრამ მუსლიმანების მიმართ შემწყნარებლები ვართ?***

— არა, მე ნებისმიერ რელიგიას ვგულისმობ. ჩვენ ერთ რამ გვავიწყდება — მშობელმა რომ იცის, თავის შვილს ამართლებს და ყოველთვის სხვის შვილს ადანაშაულებს, როცა ერთად რამეს დააშავებენ — ჩვენი ეკლესია არ არის მოწოდების სიმაღლეზე. ქართული მართლმადიდებლური სიტუაცია არ არის მოწოდების სიმაღლეზე. ამის ბრალია ის, რომ მასში ძალიან დიდია რუსეთის აგენტურის წილი. ყველას შეიძლება გულზე შემოეყაროს „რუსეთის აგენტურის“ ხსენებაზე. აბა, რა? რუსეთმა გაიტანა არქივები და, ვიდრე აქ მოქმედი აგენტურის საქმეები ექნება, ისინი ხელმძღვანელობენ მათ, მათზე მუშაობენ, აიძულებენ მათზე რომ იმუშაონ. ამდენი ეკლესია-მონასტრები რომ შენდება, შესაბამისი კადრი სად არის? შესაბამისი კადრი არ არის. იმდენი ეკლესია-მონასტრები გვაქვს, ვერ მოგვივლია. როდესაც კადრი არ არის და არაკვალიფიციური სასულიერო მოღვაწე დაეპატრონება ეკლესიებს, ეკლესიის მიმართ მრევლის უნდობლობას და გულის გაცივებას იწვევს. ამას შეგნებულად უწყობენ ხელს. იმ აჭარაში, სადაც მართლა მოქცევა უნდოდა...

***— აჭარაში ახლაც ინათლებიან, მაგრამ პარალელური პროცესებიც მიმდინარეობს. აჭარაში არის საზაფხულო აგარაკი ბეშუმი. იქ პატარა ბავშვით ვიყავი ასული. ბავშვი დაძინებული მყავდა და უცებ მიკროფონში მოლის ძახილი იმხელა ხმაზე გაისმა, რომ ხმაურზე შეშინებული ბავშვი წამოხტა. ქუჩაში რომ მიდიხარ, მოლის ხმის ისე გაისმის, თავი შუა საუკუნეების ღრმა მუსლიმანურ ქვეყანაში გეგონება. ეს როგორ შეიძლება? მე მგონია, რომ ეს ხელისუფლების ნებართვით ხდება.***



— მე კატეგორიულად არ გეთანხმებით.

***— რაში?***

— ხელისუფლებას რის გაკეთებაც ევალება, ის უნდა მოვთხოვოთ და ცხვირიდან ძმარი ვადინოთ. ძალიან მწარედ უნდა მოვითხოვოთ. ხელისუფლება ვერავის ვერაფერს აუკრძალავს. დემოკრატიას თუ აშენებ, ვერავის ვერაფერს ვერ აუკრძალავ.

***— იმ ადამიანების უფლებებიც ხომ ირღვევა? იმ ადამიანებს ხომ აწუხებს მოლის მიკროფონში ყვირილი?***

— თქვენ ხართ ჟურნალისტი და თქვენ საკითხის გადაწყვეტას სწორად არ უდგებით. თქვენ რომ გაწუხებთ და ხელისუფლებას აკრიტიკებთ, ხელმოწერები მოაგროვეთ, გაუგზავნეთ შესაბამის ორგანოებს და იმ მიკროფონს დააწევინებენ. შეიძლება ის მიკროფონი საერთოდ აალებინონ. იურიდიული დოკუმენტი შექმენით.ჩვენი მატერიალური ხელმოკლეობით სარგებლობენ და თავის საქმეს აკეთებენ. იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები, ამ შემთხვევაში თურქები, ჩვენი ხელმოკლეობით სარგებლობენ...

***— აჭარაში ძალიან ძლიერად აფინანსებენ...***

— დიახ, აფინანსებენ და ჩვენი ეკლესიის პასიურობით სარგებლობენ.

***— იქნება ეკლესიას საშუალება არ აქვს.***

— რა გითხრათ. ახლა არ ვიცი, მაგრამ საპატრიარქოს შემოჰქონდა ბენზინი და სხვადასხვა პროდუქტები.

***— ანუ საპატრიარქოს წარმომადგენლები ბიზნესს ეწეოდნენ?***

— დიახ. მეტსაც გეტყვით — სხვა ბიზნესმენები თუ იბეგრებოდნენ, საპატრიარქოს ეგიდით შემოტანილი არ იბეგრებოდა. შევარდნაძე მათ არ ბეგრავდა. ამიტომ საპატრიარქოს ეგიდით შემოიტანდი, მაგალითად, სიგარეტს და საპატრიარქოსაც აძლევდი მოგებას. საპატრიარქოს ძალიან კარგი შემოსავალი ჰქონდა.

***— ახლა საპატრიარქომ აჭარაში, შუახევის რაიონში უნივერსიტეტი და გიმნაზია გახსნა. ამისთვის სახსრები ხომ სჭირდება?***

— იმის თქმა მინდა, რომ სხვას ნუ ვაბრალებთ... ხელისუფლებას ნუ ვაბრალებთ...

***— თუმცა, თამარ მეფის ხიდთან ეკლესიის ადგილი აკურთხეს, მაგრამ ვერ ააშენეს და როგორც მითხრეს, ის ადგილიც წყალმა წაიღო. ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.***

— რაც იძულებითი გადასახლებიდან დავბრუნდი, აჭარაში ჩასვლა ვერ მოვახერხე. ჩემი პარტიის წევრები იმყოფებოდნენ. ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ ჩვენი გასაკეთებელი საქმე სხვამ უნდა გააკეთოს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართული მითოლოგიის გმირი; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 3. სახელმწიფო სკანდინავიაში; 4. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 5. ფუტკრის სკის შავი ფიჭა; 7. სასოფლო სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 11. მიწისქვეშა საკანალიზაციო არხი დიდ ქალაქებში; 15. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 16. ფრანგი კინორეჟისორი; 17. ინდიელისა და ზანგის ქორწინების შთამომავალი; 18. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 20. ქიმიური ელემენტი ინერტული აირი; 22. საქონლის წონა შეუფუთავად, სუფთა წონა.

**თარაზულად:** 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 8. ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქი; 9. უცოდინარი, უვიცი რაიმე საქმეში; 10. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმით ან სხვა ტონალობით; 12. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 13. ვინმეზე გაწეული მზრუნველობა; 14. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 19. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვეიცარიაში; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 23. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 24. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 25. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 26. კათოლიკური მონასტერი პოლონეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მიკიტანი; 2. ქრონიკა; 3. ოდესა; 4. „ბენიასა“; 5. კუმურდო; 10. მაკიზარი; 11. მენეჯმენტი; 12. ქსილიტი; 15. დეტექტივი; 16. სტინგი; 17. კუპიურა; 20. „ოპელი“.

**თარაზულად:** 6. ნიკორწმინდა; 7. შერბური; 8. გვარდია; 9. მაროკო; 13. ჩოხა; 14. მელასა; 18. ალბატროსი; 19. ხუნდი; 21. შპიგი; 22. დისნეი; 23. პანტომიმა; 24. „ქრისტინე“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ცანგალა; 2. ბექთარი; 3. ინვარი; 4. წნორი; 5. ესტანსია; 7. სნო; 11. ნასერი; 15. ჰანტელი; 16. „ელგუჯა“; 17. ხომლი; 18. იზიცა; 20. სუფსა; 22. „ლეგო“.

**თარაზულად:** 6. „აქსისი“; 8. ჰეტმანი; 9. პროექტი; 10. გუდრონი; 12. ჩორთი; 13. იუანი; 14. კვესტურა; 19. მანტისა; 21. ნობელი; 23. „ბრაგა“; 24. ალდაგი; 25. ალიასკა; 26. ჰარვარდი.

# აშშ ქარბუქის მოლოდინშია

ამერიკის შეერთებული შტატები მორიგი ქარბუქისათვის ემზადება, რომელიც აშშ-ის შუა დასავლეთის შტატებს შეიძლება დაატყდეს თავს.

მოსალოდნელია, რომ სტიქიისაგან აშშ-ის ტერიტორიის მესამედი შეიძლება დაზარალდეს, კოლორადოს შტატიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მენის შტატამდე.



სამშაბათს ამინდის გაუარესების გამო აშშ-ში 6 ათასამდე რეისი გადაიდო, მათ შორის 1300 რეისი ჩიკაგოს მიმართულებით. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთული აეროპორტია. ნიუ იორკის მიმართულებით 1100 რეისი გადაიდო, ტექსასის დედაქალაქ დალასისაკენ — 900, ნიუარკისაკენ — 650.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ქარბუქი ავიაკომპანიების საქმიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს.

ტექსასის შტატში 27 ათასი სახლი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა, ოჰაიოში — 14 ათასი. თოვლიანი ქარბუქის შესახებ აშშ-ის 19 შტატის მოსახლეობა გააფრთხილეს.

ჩიკაგოს ხელისუფლების ვარაუდით, ქალაქში 60 სმ-მდე თოვლი შეიძლება მოვიდეს. ოთხშაბათისათვის ჩიკაგოში დაიხურა სკოლები, რაც ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად მოხდა.

მისურის შტატში საშუალოდ 30 სმ თოვლი მოვიდა, ამასთან, თოვა გრძელდება.

ძლიერი თოვის გამო ქალაქებში ოკლაჰომა სითისა და თულსაში მოძრაობა საავტომობილო პრაქტიკულად შეწყდა.

მეტეოროლოგების თქმით, სატრანსპორტო მიმოსვლა რამდენიმე დღით შეიძლება შეწყდეს.

ალსანიშნავია, რომ ზოგიერთ კომპანიას უამინდობამ სარგებლობა შეიძლება მოუტანოს. სუპერმარკეტებში პირველადი მოთხოვნილების საგნების გაყიდვის მოცულობის გაზრდას ელოდებიან.

ისევე, როგორც შობის დღესასწაულების წინ გაიზარდა რძის, პურის, ტუალეტის ქაღალდის, ლუდის გაყიდვის მოცულობა, შობის დღესასწაული კი სავაჭრო ქსელისათვის უმნიშვნელოვანესი დღეა.

გაიზარდა აგრეთვე მოთხოვნილება თოვლის გასაწმენდ ნიჩბებზე, მარილზე და ელექტროგენერატორებზე.

# ბრიტანეთი ტყეების პრივატიზაციას აპირებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ინგლისის მწვანე სიმდიდრეს მზრუნველი ხელი სჭირდება.

სპელმანის თქმით, მოქალაქეება შეგნებულობა უნდა გამოამჟღავნონ და თავიანთი სახსრები ტყეების დაცვაში დააბანდონ. სხვა შემთხვევაში, ტყეებს ხანგრძლივ სარგებლობაში არენდით გადასცემენ კომერციულ ორგანიზაციებს.

მთავრობის გადაწყვეტილებამ ბუნების დაცვის ორგანიზაციების და საზოგადოებრიობის უკმაყოფილება გამოიწვია. მსგავსი გადაწყვეტილების ოპონენტები შიშობენ, რომ კერძო მფლობელები ტყეებს უბრალოდ გაჩეხავენ.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვის მონაწილეთა 84% ტყის გასხვისების წინააღმდეგია. ინტერნეტში უკვე იზრდება პეტიციის მხარდამჭერთა რიცხვი, სადაც მთავრობას ამ ინიციატივის გადასინჯვისაკენ მოუწოდებენ.

ტყის ყიდვა გაყიდვის სფეროში მომუშავე მცირე კომპანიის მფლობელის ანგუს ჰანტონის თქმით, ტყეების პრივატიზაციის საკითხთან დაკავშირებით ნამდვილი ისტერია ღვივდება.

მისი თქმით, ტყის მასივები მკაცრ კონტროლს ექვემდებარება და გაყიდვის შემდეგაც კი ახალ მფოობელებს სატყეო მეურნეობის ნებართვის გარეშე ერთი ხის მოჭრის უფლებაც კი არ აქვთ.

დღეისათვის ბრიტანეთის ტყეების 69% კერძო საკუთრებას წარმოადგენს და რიგით მოქალაქეებს ეკრძალებათ შესვლა ტერიტორიაზე, რომელიც მონიშნულია წარწერით „კერძო საკუთრება“.

ინგლისელების უმეტესობა შიშობს, რომ ტყეების გასხვისების შემთხვევაში მფლობელები მასშტაბურ ტურისტულ ბიზნესს განავითარებენ და ასეთ შემთხვევაში რიგითი მოქალაქეები ცხენით ან ველოსიპედით ტყეში გასეირნების იმედებს უნდა გამოეთხოვონ.

ზოგი ექსპერტის ვარაუდით, სატყეო მეურნეობაში სამთავრობო მოხელეებს არაფერი გაეგებათ და უმჯობესი იქნება, თუკი ტყეს მთლიანად კერძო მფლობელებს გადასცემენ. მათი თქმით, სატყეო მეურნეობის და შესაბამისი კომიტეტების შესაძლებლობები სახელმწიფო ბიუჯეტით არის შემოფარგლული, კერძო მფლობელებს კი ბიუჯეტის ლიმიტი არ ზღუდავთ და მათ მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ.

# ჩერნობილის ახალი სარკოფაგისათვის აუცილებელი თანხის მხოლოდ ნახევარი მოგროვდა



ჩერნობილის კატასტროფის ადგილას რადიაციის კერის იზოლირების მიზნით ახალი სარკოფაგის მშენებლობისათვის აუცილებელი სახსრების მხოლოდ ნახევარის მოგროვება მოხერხდა.

1986 წელს დაზიანებული რეაქტორის ნამსხვრევებს შორის თითქმის 200 ტონა ურანის შემცველი გამდნარი ღეროების ნარჩენები რჩება.

ახალმა სარკოფაგმა უკვე არსებული ზემოდან უნდა დაფაროს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი მისი მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო სახსრების მოგროვება მოხერხდება.

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ენერგობლოკში ავარიის შემდეგ ფოლადისა და ბეტონის დროებითი საფარი ნაჩქარევად ააგეს.

ამჟამად იგი დამატებითი საყრდენებით არის აღჭურვილი, რომლებიც სარკოფაგს ჩამონგრევის საშუალებას არ აძლევენ.

ავარიიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ათასობით ადამიანი ამ სარკოფაგს საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდების ფასად აგებდა.

ეს ნაგებობა ხანგრძლივ პერიოდზე არ იყო გათვლილი და თანდათანობით ნადგურდება.

ამჟამად სარკოფაგის მახლობლად მიმდინარეობს გიგანტური თაღის მშენებლობა, რომელსაც შემდეგ უკვე არსებული სარკოფაგის ზემოდან მოათავსებენ.

პროექტს საიმონ ევანსი კურირებს, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან.

ამბიციური პროექტის ღირებულება 1.6 მილიარდი ევროა, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა 740 მილიონი ევროს მოგროვება, მიუხედავად იმისა, რომ დიდი რვიანის შეხვედრებზე დაპირებები უხვად ისმოდა.

ყველაზე მეტი თანხა პროექტისათვის ევროპის ქვეყნებმა გაიღეს. რუსეთი, სადაც საბჭოთა პერიოდში ჩერნობილის ტიპის რეაქტორებს აგებდნენ, შემოწირულობების მიხედვით მეათე ადგილზეა.

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის პრეზიდენტს, თომას მიროვს მიაჩნია, რომ ამჟამად შემოწირულობებისათვის საკმაოდ მძიმე დროა, მაგრამ მისი აზრით, ქვეყნებს ამჟამად არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ხელი არ უნდა შეუშალოს.

მისი თქმით, ჩერნობილი სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა. აუცილებელი სახსრების შეგროვებას ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი ჩერნობილის კატასტროფის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით აპირებს, რასაც აპრილში აღნიშნავენ.

იმ შემთხვევაშიც კი თუკი თავად რეაქტორს საიმედოდ დაფარავენ, ჩერნობილის გარშემო ტერიტორია კიდევ ათეულ ათასობით წლის განმავლობაში დაბინძურებული დარჩება.

# ეგვიპტელები მუბარაქის გადაწყვეტილებამ გაანაწყენა

კაიროს ცენტრალურ მოედანზე პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის დაუყოვნებლივ გადადგომის მოსურნე ასეულ ათასობით ადამიანმა ეგვიპტელი ლიდერის განცხადებას, რომელმაც განაცხადა, რომ მომავალ არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებს, მრისხანე რეაგირება მოახდინა.

სატელევიზიო გამოსვლაში მუბარაქმა განაცხადა, რომ თავის პოსტზე არჩევნების გამართვამდე და რამდენიმე კარდინალური რეფორმის გატარების მიზნით ბოლომდე აპირებს დარჩენას, რათა სახელმწიფოს მეთაურისათვის მმართველობის მაქსიმალური ვადა დაადგინოს.

ამჟამად ეგვიპტის კონსტიტუციაში ასეთი ნორმა არ არსებობს.

მუბარაქმა ასევე განაცხადა, რომ გადადგომის შემდეგ ეგვიპტის დატოვებას არ აპირებს.

მისმა გამოსვლამ ტაჰრირის მოედანზე შეკრებილთა უკიდურესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

ზოგიერთი მათგანი იმასაც ამბობს, რომ პრეზიდენტმა თავისი პოსტი მიმდინარე კვირის პარასკევამდე უნდა დატოვოს.

მისი გამოსვლის შემდეგ მოედანზე შეკრებილებს შორის გაისმა შეძახილები „ჩვენ არ წავალთ, წავა ის“.

ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გაეროს ატომური ენერგიის სააგენტოს ყოფილმა ხელმძღვანელმა, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა მოჰამედ ალ ბარადეიმ მუბარაქის გამოსვლას უწოდა ხრიკი, რის საშუალებითაც იგი ხელისუფლების სათავეში დარჩენას ცდილობს.

ალსანიშნავია ისიც, რომ ეგვიპტის ზოგიერთი მცხოვრების აზრით, მუბარაქის განცხადება შექმნილ სიტუაციაში ყველაზე გონივრული გადაწყვეტილებაა.



მუბარაქის გამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ ეგვიპტეში არსებული ვითარება აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამაც შეაფასა.

მისი თქმით, ის, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ეგვიპტეს, თავად ეგვიპტელი ხალხის გადასაწყვეტია, მაგრამ ცხადია, რომ პრეზიდენტა მუბარაქმა მნიშვნელოვანი და მშვიდობიანი ცვლილებები უნდა განახორციელოს და რაც შეიძლება სწრაფად.

ერთი კვირაა რაც კაიროში, სუეცში, ალექსანდრიაში და ეგვიპტის სხვა ქალაქებში მასობრივი გამოსვლები მიმდინარეობს. დემონსტრანტები ხელისუფლების სათავეში 30 წლის განმავლობაში მყოფი ჰოსნი მუბარაქის გადაყენებას ითხოვენ.

კომენდანტის საათის გამო ეგვიპტის შიგნით ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია.

ამჟამად საპროტესტო აქცია დღესასწაულის ატმოსფეროში მიმდინარეობს, აქციის მონაწილეები მღერიან და ლოზუნგებს გაიძახიან.

თავდაპირველად დემონსტრაცია პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის გაამფთრებული შეტაკებების ხასიათს ატარებდა, რის შედეგად ათეულობით ადამიანი დაიღუპა.

შემდეგ პოლიციამ დემონსტრანტების დაშლის მცდელობა შეწყვიტა და ქალაქის ქუჩებში ჯარისკაცები და ჯავშანტექნიკა გამოვიდა.

ეგვიპტის ზოგიერთ ქალაქში მაროდიორობა დაიწყო, ამიტომ მოსახლეობა ღამღამობით საკუთარ რაიონებს თავად აკონტროლებს და იარაღით ცდილობს მძარცველებისაგან საკუთრების დაცვას. მიმდინარე კვირის დასაწყიში ეგვიპტის არმიის ხელმძღვანელებმა, ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარებას ხელს არ შეუშლიდნენ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები



**ჟენია რაზმაძის გახსენება**

დღეს შენი დაბადების დღეა. გვახსოვხარ და გვენატრები. გფარავდეს ღმერთი.

*რობიკო და ნუნუ*

მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის გენერალური დირექტორი

**გივი ვალერიანის ძე მინდელი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 3 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** ისტორია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ტვინი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. **"ფარი"** (**12**) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"ჩასაფრებული ვეფხვი, უჩინარი დრაკონი"**

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **14.45**, **17,45**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00**, **16.00**, **19.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"მაიკლი"** **01.00** მხ. ფილმი **"გოთიკა"** (**18**)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **15.30** გუნცაძეები **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი **"უიღბლო"** (**18**) (რ. ბერი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** სამსონაძეები **00.30** მხ. ფილმი **"კომანდო"** (**15**) (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **02.20** მხ. ფილმი **"ლამაზი ქალი"** (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **04.20** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (სუბტ.)

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30**, **23.00** სერ. **"სტალინის ცოლი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50**, **19.30** სერ. **"კურტიზანები"** **14.50** სცენა **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ამანდა ო"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მოცურავე"** **13.30** კონცერტი **15.15** მხ. ფილმი **"შეწყვეტილი სიმღერა"** **16.40** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.05** დოკ. ფილმი "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" **17.40** ერთი წვეთი **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **19.20** მხ. ფილმი **"კეთილი ადამიანები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** დოკ. ფილმი "მაქსიმე აღმსარებელი" **22.25**, **23.15** ბიზნეს მარათონი **23.00** საღამოს ლოცვა **00.35** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 3 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,7741

ევრო — 2,323

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7456

რუსული რუბლი — 0,0585

## ამინდის პროგნოზი 3 თებერვლისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 4-8, ღამით — -2-1

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 6-19, ღამით — 1-6

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -5-3, ღამით — -1§ -2







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 3 თებერვლისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. კურო — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. ტყუპები — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ახალი ამბავი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა და საჩუქარი განწყობას აგიმაღლებთ. **ქალწული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის, მას თქვენთვის კარგი ამბავი აქვს. **სასწორი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ახალი წამოწყება გაამართლებს, მთავარია არ გაექცეთ პასუხისმგებლობას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 2. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 3. ზარების დამრეკი, სანთლების ამთები ეკლესიის მსახური; 4. ჰიპერმარკეტი თბილისში; 5. ეგვიპტელი ქრისტიანები; 10. სასიმღერო ხმა ქართულ ხალხურ სიმღერაში; 11. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. წყლის საათი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 20. ფრანგი შანსონიე ქალი.

**თარაზულად:** 6. მე-13 საუკუნის მონასტერი ბოლნისის რაიონში; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. კუთხე საქართველოში; 9. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 14. პატიოსნება, სინდისი; 18. ხილის ზვენებით, კარტოფილის ფქვილით და შაქრით მომზადებული ტკბილეული; 19. აკვიატებული შიში; 21. ქართული ხალხური თამაში ქამრებით; 22. პრივილეგირებული, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თვიმანაშვილმა*




## ბრიტანეთი ტყეების პრივატიზაციას აპირებს

ბრიტანეთის მთავრობამ გავრცელა განცხადება კერძო პირებისათვის სახელმწიფო ტყის მასივების მიყიდვის საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი კონსულტაციების დაწყების შესახებ.

ბრიტანეთის მთავრობა ტყეების პრივატიზაციით ცდილობს მათზე ზრუნვის პასუხისმგებლობა მოიხსნას, გარდა ამისა, კრიზისის შედეგად შეთხელებული ბიუჯეტი შეავსოს.



პრივატიზაციას ექვემდებარება 258 ათასი საერთო ფართობის ტყეები, რაც ინგლისის ტყეების 18%-ს შეადგენს. ამ ტყეებს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომისია განაგებს. ინგლისის ტყეების დანარჩენი ნაწილი მნიშვნელოვანწილად უკვე კერძო მფლობელობაში იმყოფება.

ასე რომ, ახლო მომავალში იმ ტურისტებს, ვისაც შერვუდის ტყის მონახულება და რობინ ჰუდის თავშესაფრის ნახვა სურთ, აჩქარება მართებთ.

როგორც ეკოლოგიისა და გარემოს მინისტრმა კეროლაინ სპელმანმა განაცხადა, 2020 წლისათვის დღემდე სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ტყეები კერძო საკუთრებად იქცევა, შესაბამისად ჩვეულებრივი მოქალაქეები ტყეში სტუმრობას ველარ შეძლებენ.

მოსალოდნელია, რომ ტყეების გაყიდვა ქვეყანას დაახლოებით 250 მილიონ გირვანქა სტერლინგს მოუტანს. მინისტრის თქმით, მთავრობის ეს გეგმები თავად ტყეების გადარჩენას ისახავს მიზნად.

სპილმენის თქმით, მთავრობა ტყეების გაყიდვით მათ გადარჩენას და დაცვას ცდილობს, ტყეებს ახალი ინვესტიციები და იდეები ესაჭიროებათ და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## იუმორი



— ქალს არგუმენტები რომ გაუთავდება, აუცილებლად იტყვის, რომ ქალს ასე არ ექცევიან...

***

ხუთი წლის ძმისწული დამიტოვეს. მეუბნება, დამალობანა ვითამაშოთო. დავთანხმდი. სახლი დიდია, მეორე სართულზე ავედი, კეთილსინდისიერად დავიმალე საწოლის ქვეშ, ველოდები. არავინ მეძებს. ბოლოს და ბოლოს, ვერ მოვითმინე, დაბლა ჩავედი და რას ვხედავ... ამ პატარა ყაჩაღს მაცივარი გაუღია, ტორტი გადმოუღია და მიირთმევს...

***

— ექიმო, იქნებ სადმე წავსულიყავი, დამესვენა, მაგალითად, ლიხტენშტეინში.

— რას ბრძანებთ, ძვირფასო, რა ლიხტენშტეინი, თქვენ ხომ კლაუსტროფობია გჭირთ...

***

— იცი, სულ ვკამათობთ, ალბათ, ერთად ვერ ვიქნებით.

— ალბათ. ისე, ბალი გიყვარს?

— მიყვარს.

— რომ ჭამ, კურკებს ხომ აფურთხებ?

— რა თქმა უნდა.

— ცხოვრებაშიც ასეა, ბლის ჭამის დროს კურკების გადმოფურთხება უნდა ისწავლო...

გ.თ.

## პრინციპული ლიპარტელიანის გაუგებარი გადაწყვეტილება

5-6 თებერვალს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში წლის პირველი „დიდი სლემის" ტურნირი გაიმართება. საქართველოდან მხოლოდ ვაჟთა ნაკრები ისპარეზებს.



ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სოსო ლიპარტელიანმა საფრანგეთში წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა:

ამირან პაიჩაშვილი, ბექთილ შუკვანი (60კგ), თენგიზ პაპოშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (73), ლევან წიკლაური, ლაშა ზურაბიანი (81), ვალერი ლიპარტელიანი (90), ლევან ჟორჟოლიანი (100), ადამ ოქრუაშვილი (მძიმე).

როგორც ხედავთ, გუნდი პარიზში არასრული შემადგენლობით მიემგზავრება — მონაწილე არ გვყავს 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში. თუმცა, გასაკვირი უფრო სხვა ფაქტია.

მაშინ, როდესაც „დიდი სლემის" ტურნირი 2012 წელს ლონდონში ჩატარებელი ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებს იძლევა, გაუგებარი რჩება, თუ რატომ მოხვდა შემადგენლობაში ზურაბიანი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატზე სამეულშიც ვერ მოხვდა და არც თბილისის საერთაშორისო ტურნირზე უჭიდავია.

ნაკრებში დანიშვნის შემდეგ, ლიპარტელიანი განსაკუთრებული პრინციპულობით გამოირჩეოდა და რამდენიმე ისეთ წამყვან მოჭიდავეს აგრძნობინა, რომ თუ საქმეს სერიოზულად არ მოეკიდებოდნენ, მათთვის ნაკრების კარი დაიხურებოდა, მაგრამ ახლობლობითა და ნათესაობით ნაკრების დაკომპლექტება, ცოტა არ იყოს, მისი მხრიდან დიდ გაუგებრობას იწვევს.

მ. ჟ.

## ანი ხანჩალიანი ახალ ალბომს წერს

ეკა ირემაშვილი

პროექტ „ნიჭიერის" ერთ-ერთი წარმატებული მონაწილე ანი ხანჩალიანი სადებიუტო ალბომს წერს. როგორც მომღერალმა გვითხრა, ალბომს გიგა კუხიანიძის სტუდიაში წერს და ამით ძალიან ბედნიერია.

**ანი ხანჩალიანი:**

— ჩემს რიგით პირველ ალბომს ვწერ და ძალიან გახარებული ვარ. მინდა კარგი სიმღერები ჩავწერო, რომ მსმენელი გავახარო.



— *რომელ სტუდიაში წერ ალბომს?*

— „ბზიკები სტუდიაში".

— *გიგა კუხიანიძესთან?*

— დიახ. ძალიან კარგი სიტუაციაა და იქაურობა მომწონს.

— *რამდენი სიმღერა გაქვს ჩაწერილი?*

— ჯერ მხოლოდ ორი. ერთ-ერთი საშობაო სიმღერაა, მეორე კი ის სიმღერა, რომელიც მაკედონიაში სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე ვიმღერე და გავიმარჯვე.

— *რამდენი სიმღერის შეტანას აპირებ ახალ ალბომში?*

— ჯერ არ ვიცი. ალბათ 10-12-ის.

— *რას დაარქმევ ალბომს?*

— არ ვიცი. ალბათ რომელიმე სიმღერის სახელწოდებას შევარჩევთ და ის იქნება ალბომის სახელიც.

— *სადმე კონკურსზე კიდევ ხომ არ მიდიხარ?*

— ჯერჯერობით არა.

## როგორ ვებრძოლოთ მოწყენილობას — ტესტი



1. წინასწარ შედგენილი გეგმით ცხოვრობთ?
2. გსურთ მეტი პასუხისმგებლობა?
3. თუ გშურთ იმ ადამიანებისა, ვინც საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ?
4. გინდათ მეტი მოულოდნელობები გქონდეთ?
5. შეგიძლიათ სრულად განჭვრიტოთ თქვენი პარტნიორის ყოფაქცევა?
6. თქვენი ინტერესების უმეტესობა ტელევიზორთანაა დაკავშირებული?
7. როგორც წესი, დილით იცით, რასაც გააკეთებთ დღის განმავლობაში?
8. გაწუხებთ მოწყენილობა?
9. ხანდახან ყვირილი გინდათ?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**პასუხები**

**0-3 ქულა:** მოწყენილობისათვის არ გცალიათ, რადგან მეტად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ.

**4-6 ქულა:** მოწყენილობა არ გაწუხებთ, თუმცა, ხანდახან გეუფლებათ ხოლმე უგუნებობა, თავს დათრგუნულად გრძნობთ ხოლმე, შეეცადეთ, არ მიაქციოთ ამას ყურადღება, რადგან, როგორც წესი, მოწყენილობის პერიოდს აქტიურობის პერიოდი ცვლის ხოლმე.

**7-9 ქულა:** მიუხედავად იმისა, რომ მოწყენილობა დიდ უბედურებად არ ითვლება, იგი თქვენი პრობლემების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. შეეცადეთ გაიმრავალფეროვნოთ ცხოვრება, ჰობის ძიებით დაიწყეთ, მოკიდეთ ხელი იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოგდით და რითიც შეგიძლიათ იამაყოთ. მზად იყავით, ხანდახან რისკზე წახვიდეთ.

გ.თ.